პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 43-ე წელი

№ 183 (12391) | კვირა, 5 აგვისტო, 1962 წ. | ფასი 2 კაპ.

ხვალ კოსმონავტ გერმანე ტიტოვის გაფრენის წლისთავია

საბჭოთა კავშირის გმირი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, მფრინავი-კოსმონავტი გერმანე ტიტოვი. ფოტო დ. შოლომოვიჩისა.

მოვიდოდეს და პროგრესის ორბიტაზე

საუბარი კოსმონავტ-მფრინავთან გერმანე ტიტოვთან

მთელ მსოფლიოს ახსოვს 1961 წლის 6-7 აგვისტოს ღირსშესანიშნავი დღეები, როცა საბჭოთა კოსმონავტმა მფრინავმა გერმანე ტიტოვმა მოახდინა ისტორიაში უმაგალითო ერთი დღეღამის ფრენა ორბიტაზე დედამიწის გარშემო თანამგზავრი ხომალდით „აღმოსავლეთი-2“.

ამ ფრენის წლისთავთან დაკავშირებით საკდესის კორესპონდენტმა ბორის ლუკიანოვმა სთხოვა სსრ კავშირის კოსმონავტ მფრინავს, საბჭოთა კავშირის გმირს გერმანე ტიტოვს ეპასუხნა მთელ რიგ შეკითხვებზე. ქვემოთ ქვეყნდება ამ საუბრის ტექსტი.

კითხვა: როგორ აფასებთ ადამიანის ხანგრძლივ ყოფნას კოსმოსში კოსმოსური სივრცის ათვისების პერსპექტივების თვალსაზრისით?

პასუხი: როგორც ცნობილია, მე კოსმოსში გავიფრინე შვიდას ათასზე მეტი კილომეტრი, ესე იგი გზა, რომელიც უდრის მანძილს დედამიწიდან მთვარემდე და აქეთ. კოსმოსურმა ხომალდმა 17-ჯერ და მეტად შემოუარა დედამიწას.

მკვლევარები აცხადებენ, რომ მიღებულ მონაცემებს უდიდესი მნიშვნელობა აქვთ, განსაკუთრებით ისეთი ახალი დისციპლინებისათვის, როგორიც არის კოსმოსური ბიოლოგია და მედიცინა. მე არა ვარ მეცნიერი და არ ვაპირებ დეტალურად გავაანალიზო, თუ სახელდობრ რით გამდიდრდა მეცნიერება „აღმოსავლეთი-2“-ით ფრენის შედეგად, მაგრამ ზოგი რამ ძალიან მინდა ვთქვა.

ერთ-ერთი უძნიშვნელოვანესი საკითხი, რომელიც მეცნიერებმა დააყენეს „აღმოსავლეთი-2“-ის გაშვების წინ, ის იყო, შეუძლია თუ არა ადამიანს ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოახდინოს კოსმოსური ფრენა, შეუძლია თუ არა მის ორგანიზმს დიდხანს აიტანოს უწონობის მდგომარეობა, ამასთან შეინარჩუნოს მუშაობის უნარი. უწონობის მდგომარეობაში თავს კარგად ვგრძნობდი. ვწერდი ხომალდის ჟურნალში ჩემს დაკვირვებებს, ქმნდა რადიოკავშირი ფრენის მთელ მანძილზე, დედამიწიდან ყველაზე დაშორებული ორბიტის წერტილშიც კი. დროდადრო განვიცდიდი უსიამოვნო გრძნობას, რასაც იწვევდა ვესტიბიულარული აპარატის ცვლილებანი. მაგრამ საკმარისი იყო მიმეღო თავდაპირველი მტკიცე პოზა, მოვრიდებოდი თავის კვეთის მოძრაობას, რომ განწყობილება ძიუჯობესდებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ ფრენამ ხომალდით „აღმოსავლეთი-2“ ადიდარი მასალა მოგვცა უწონობის პრობლემის შესახებ, მეცნიერებს არ მიეჩნიათ, რომ ამ საკითხში მიღწეული იყოს სრული სიცხადე. საჭიროა, კერძოდ, გაგრძელდეს ფესვვალა გულისა და სისხლძარღვების სისტემის ფუნქციებისა, მათი უნარისა სწრაფად შეეგუონ კოსმოსური ფრენის სხვადასხვა მოვლენას. უდიდესი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ცენტრალური ნერვული სისტემის, განსაკუთრებით თავის ტვინის დიდი ნახევარსფეროების ქერქის ფუნქციათა გამოკვლევას.

არ შეიძლება დავიწყოთ, რომ ხანგრძლივი ფრენის დროს განსაკუთრებული აქტუალობა ენიჭება რადიაციული დაცვის მეთოდებს. საბჭოთა ძეცნიერები გამოთქვამენ აზრს, რომ ორგანიზმის დაცვის ეფექტიანობის გადიდება შეიძლება სპეციალური საქკურნალო-პროფილაქტიკური პრეპარატების გამოყენების გზით. მაგრამ ბიოლოგიურ ... ...

ჩემს ნორჩ მკითხველებს

გერმანე ტიტოვის წიგნი ქართულად

შარშან ხუთ აგვისტოს ნოსტალგ-მეგობრების გარდა არავინ არ იცნობდა ამ ახალგაზრდას.

ექვს აგვისტოს მთელ მსოფლიოს პირზე ეკერა: „გერმანე ტიტოვი!".

ჩვენი დროის ამ ჭაბუკარიტმა გმირმა თავისი განცდილი წიგნად დაწერა და დაარქვა „700.000 კილომეტრი კოსმოსში".

ეს უბრალო კილომეტრები როდია. ეს გმირული, ვაჟკაცური გზაა, რომელიც საოცნებო მომავლისაკენ მიდის.

ასეთი წიგნი არასოდეს არ დაწერილა.

გერმანე ტიტოვის „700.000 კილომეტრი კოსმოსში" ახლახან ქართულ ენაზე გამოსცა საქართველოს საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობა „ნაკადულმა".

კოსმოსის გმირმა „ნაკადულის" თხოვნით სიამოვნებით დაწერა შესავალი წერილი თავისი წიგნის ქართული გამოცემისათვის და გულთბილად გაეხაუბრა ნორჩ ქართველ მკითხველებს.

ქვემოთ ვაქვეყნებთ გერმანე ტიტოვის ამ წერილს.

□ □

დიდად მადლობელი ვარ ქართველი ამხანაგებისა, რომელთაც სურვილი გამოთქვეს ქართულ ენაზე გამოსცენ წიგნი „700.000 კილომეტრი კოსმოსში". მე ისიც მაცნობეს, რომ ეს გამოცემა განკუთვნილია ბავშვებისა და ახალგაზრდობისათვის. სულითა და გულით მივესალმები ჩემს ნორჩ მკითხველებს — მზიური საქართველოს მცხოვრებთ.

წიგნში „700.000 კილომეტრი კოსმოსში" მოთხრობილია მფრინავი-გამანადგურებელის ცხოვრებასა და მუშაობაზე, მფრინავ-კოსმონავტების მომზადებაზე და კოსმოსურ ხომალდ „აღმოსავლეთი-2"-ის გაფრენაზე, რომელიც 1961 წლის 6 და 7 აგვისტოს განხორციელდა. ეს იყო ადამიანის მეორედ გაფრენა კოსმოსში, რომელიც მოჰყვა ამავე წლის 12 აპრილს ხომალდ „აღმოსავლეთი-1"-ით იური გაგარინის მიერ განხორციელებულ ცნობილ კოსმოსურ რეისს.

ჩვენი გაფრენები მიძღვნილი იყო მთელი მსოფლიოს ხალხთა ცხოვრებაში უდიდესი მოვლენის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობისადმი. მე უსაზღვროდ კმაყოფილი ვარ იმით, რომ ჩვენ, მფრინავმა-კოსმონავტებმა, მთლიანად და წარმატებით შევასრულეთ ორივე ფრენისათვის მოცემული დავალება, შევასრულეთ ის, რაც პროგრამით იყო გათვალისწინებული.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობამ, რომლის დელეგატად ყოფნის ბედნიერება მე მსვდა წილად და სადაც სიტყვითაც გამოვედი, კომუნიზმის მშენებლობის გრანდიოზული პროგრამა მიიღო. ჩვენმა პარტიამ საზეიმოდ განაცხადა: ახლანდელი თაობა იცხოვრებს კომუნიზმში!

ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებული ჩვენი ქვეყანა, მთელი ჩვენი მრავალმილიონიანი ხალხი ახალი ენერგიით შრომობს კომუნისტური მშენებლობის ყველა უბანზე. იზრდება ჩვენი მძლავრი მრეწველობა, სოფლის მეურნეობა. ახალ-ახალ მწვერვალებს იპყრობს მეცნიერება, კულტურა და ხელოვნება. ახალი და ახალი ხომალდები მიიწევენ ცის სიღრმეებისაკენ, ემზადებიან ჩემი მეგობარი კოსმონავტები, რომელთა რიგები სულ უფრო და უფრო იზრდება.

დარწმუნებული ვარ, რომ ამ წიგნის ზოგიერთი დღევანდელი ნორჩი მკითხველი, ვინც ახლა ალისფერ პიონერულ ყელსახვევს ან კომკავშირელის სამკერდე ნიშანს ატარებს, მალე კოსმოსურ ხომალდში დაიჭერს ადგილს. იგი გაფრინდება მთვარეზე, მარსზე, ვენერაზე ან სხვა რომელიმე პლანეტაზე და კაცობრიობას გაუხსნის საუკუნეობრივ საიდუმლოებებს.

ჩემს ნორჩ მკითხველებს, რომელთა ბედნიერი ბავშვობა თავისუფალი საბჭოთა სოციალისტური საქართველოს ცხოველმყოფელი მზითაა გასხივოსნებული, ფუსურვებ დიდ წარმატებებს სწავლაში, ცხოვრებაში, მათი ყველაზე მამამი, გაბედული იმედებისა და ოცნებების ხორცშესხმას. ისწავლეთ კიდევ უფრო ბეჯითად, მეგობრებო! ცოდნა ძალზე ესაჭიროება მომავალ კოსმონავტსაც და ინჟინერსაც, ექიმსაც და აგრონომსაც, ყოველი პროფესიის ადამიანს. გიყვარდეთ შრომა სამშობლოს საკეთილდღეოდ და განამტკიცეთ მეგობრობა ჩვენი უძლეველი საბჭოთა კავშირის მრავალეროვანი ოჯახის წევრთა შორის.

გ. ტიტოვი.

სიცოცხლე კოსმოსში

საუგარი აკადემიკოს ა. გლაგონრავოვთან

1961 წლის 9 აგვისტოს მოსკოვი საზეიმოდ ხვდებოდა საბჭოთა კავშირის გმირს გერმანე ტიტოვს, რომელმაც კაცობრიობის ისტორიაში პირველმა განახორციელა ხანგრძლივი კოსმოსური მოგზაურობა. 25 საათისა და 11 წუთის განმავლობაში საბჭოთა კოსმოსურმა ხომალდმა „აღმოსავლეთი-2", რომელსაც გერმანე ტიტოვი მართავდა, მოახდინა 17 დედამიწისირგვლივი რეისი, ფრენით დაფარა რა 703.143 კილომეტრი მანძილი.

იმ სამახსოვრო დღიდან უკვე ერთი წელიწადი გავიდა, მაგრამ ასეთი ბრწყინვალე გაფრენა ჯერ ვერავინ ვერ გაიმეორა.

ამ თარიღთან დაკავშირებით საგაზეტო „ახალი ამბების" კორესპონდენტმა რამდენიმე კითხვით მიმართა აკადემიკოს ანატოლი ბლაგონრავოვს. ქვევით მოგვყავს კითხვები და პასუხები.

□ □

კითხვა: *როგორია თქვენი აზრით, გერმანე ტიტოვის კოსმოსური გაფრენის მნიშვნელობა კოსმონავტიკის მომავლისათვის?*

პასუხი: გერმანე ტიტოვი ჩვენი პლანეტის პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი ადამიანია, რომელმაც მოლიანად განახორციელა კოსმოსში სიცოცხლის სადღეღამისო ციკლი.

ამ გაფრენის პროგრამის სირთულე გამოწვეული იყო არა რეკორდებისადმი გამოკიდებით, არა ეფექტებისაკენ მისწრაფებით, არამედ კოსმოსურ ფრენაში ადამიანის ყოფნის პირობების შემოწმების აუცილებლობით. ამ პირობების არსებით თავისებურებას კი წარმოადგენს უწონადობის ხანგრძლივი მდგომარეობა. საჭირო იყო აგრეთვე იმის გარკვევაც, თუ როგორ აიტანს დატვირთვის სწრაფ ზრდას კოსმოსური ხომალდის დაშვების დროს და მიწაზე მისი დაფრენისას ადამიანის ორგანიზმი, რომელმაც უკვე მოასწრო ფრენაში სომძიმის ძალების უქონლობისადმი შეგუება. დედამიწის პირობებში ამ კითხვებზე პასუხის მიღება შეუძლებელია. როგორც ჩვენი პლანეტის ირგვლივ, ასევე მისი უახლოესი ციური სხეულებისაკენ — მთვარის, მარსის, ვენერისაკენ მიმავალი უფრო ხანგრძლივი კოსმოსური გაფრენისათვის მოსამზადებლად ზუსტად უნდა ვიცოდეთ, თუ როგორ აიტანს ადამიანი ამ „არამიწიერ" მდგომარეობას, თუ ის გაგრძელდება ერთ კვირას, თვეს ან უფრო მეტ ხანს.

გაფრენის უზარმაზარი მნიშვნელობა იმითაც გამოიხატება, რომ გერმანე ტიტოვმა ორჯერ — მეორე და მესამე ხვეულთან მოახდინა ხომალდის მართვა ხელით. ეს მან გააკეთა ხელით მართვის შესაძლებლობის შესამოწმებლად. როგორც გამოირკვა, კოსმოსური ხომალდის „აღმოსავლეთი-2" მართვა იოლია, ხელსაყრელია. შეიძლებოდა მისი ორიენტირება ყოველ დათქმულ მდგომარეობაში და მისი საითკენაც გინდოდათ წარმართვა ყოველ სასურველ მომენტში.

ამრიგად, პირველად კოსმოსური გაფრენების ისტორიაში ჩვენ მოწმე გავხდით დედამიწის ახლო სივრცეში კოსმოსური აპარატებით მანევრირებისა. ესეც აგრეთვე ფრიად მნიშვნელოვანია, რამდენადაც ორბიტით მოძრაობის სიზუსტისადმი მომთხოვნელობა ამაღლდება. მომავალი მანევრების მაგალითებად შეიძლება დავასახელოთ ისტუები, როგორიც არის უფრო რთულ ორბიტაზე ან ისეთ ორბიტაზე გადასვლა, რომელიც შედის ატმოსფეროს უფრო სქელ ფენაში დამუხრუჭებისა და დათქმულ რაიონში დაშვებისათვის, აგრეთვე კოსმოსური აპარატების შეხვედრისას ფრენის დროს მათი ერთიან კონსტრუქციად შეერთების მიზნით ან კიდევ კოსმოსური აპარატების გამოსვლისას დათქმულ ტრაექტორიაზე ციური სხეულებისაკენ მათი მოძრაობის დროს.

კითხვა: *ამერიკელი კოსმონავტებიც მართავდნენ ხელით თავიანთ ხომალდებს. როგორი იყო ამ მხრივ მათი ამოცანები?*

პასუხი: ფრენაში კოსმოსური ხომალდების ორიენტაციისა და მართვის ავტომატური სისტემების მხრივ ამერიკელებს ყველაფერი რიგზე არა აქვთ. როგორც ცნობილია, პირველმა ამერიკელმა კოსმონავტმა ჯონ გლენმა პირველი ხვეულის ბოლოს შეამჩნია უწესივრობა ორიენტაციის სისტემაში, ამიტომაც გლენი იძულებული იყო გადასულიყო ორიენტაციის ხელის სისტემაზე. მეორე ამერიკელი კოსმონავტი კარპენტერი ხომალდის ავტომატური ორიენტაციის სისტემაში უწესივრობის გამო ასევე იძულებული იყო, მართალია, უკვე მეორე შემობრუნების ბოლოს, გადასულიყო ხელით მართვაზე. როგორც ვხედავთ, არის ზოგიერთი პროგრესი ამერიკელების მიერ თავიანთი კოსმოსური ხომალდების ორიენტაციის ავტომატური სისტემების სრულყოფაში. იმ ხომალდების ორიენტირების ოთახის კარი, ეგონა რა, რომ იგი ახლა ბრაზილიაში ხანგრძლივი და ამაღელვებელი შეხვედრების შემდეგ ღრმა ძილში იქნებოდა.

— „გაგვებულია „აღმოსავლეთი-2"... — შესძახა იტონმა. იური მას შეხვდა ჩაცმული, გაპარსული და დინჯად უპასუხა სტუმარს:

— ვიცი. მასში გერმანე ტიტოვია... ჩვენ მოვასწრებთ ჩავფრინდეთ მოსკოვში სწორედ დედამიწაზე მისი დაფრენის დროისათვის...

და როგორც კი ჩვენი „ილ-18" აფრინდა ჰალიფაქსიდან და კურსი აღმოსავლეთისაკენ აიღო, გაგარინმა სთხოვა სტიუარდესას გაეხსნა შამპანურის ბოთლი, შეავსო ჭიქები და რუსული ჩვეულების მიხედვით ასწია მაღლა.

— გერმანე ტიტოვის სადღეგრძელო იყოს! კოსმოსურ და დედამიწის ორბიტებზე მისი ფრენის სადღეგრძელო იყოს!..

კოსმოსურმა ორბიტებმა გერმანე ტიტოვი ჩვენ-მეჯერ შემოაგარა ჩვენი პლანეტის ირგვლივ ერთ დღეღამეზე ცოტა მეტი ხნის მანძილზე, საჰაერო გზებმა მეთვრამეტეჯერ აიძულეს იგი შემოეფრინა დედამიწისათვის. და მას, კოსმოსის გმირს, მაშინვე უწყეს მიპატიჟება ყველგან.

* * *

სურათზე: „ციური ძმები".

ფოტო ვ. გენდე-როტესი.

ციური ძმები

გერმანე ტიტოვის სახელს დედამიწის მცხოვრებთა გულები დიდი ხანია ავსებული ჰქონდა იმ უზარმაზარი, ლაღი დიდებით, რომლის ბადალი მარტო მისივე გმირობა თუ არის, ხოლო ადამიანები განაგრძობდნენ მოუთმენლად ლოდინს: როდის გადაიდგმებოდა მეორე ნაბიჯი კოსმოსში და ვინ გადადგამდა მას? როგორია ის, მეორე, რომელიც ემზადება გასაფრენად პირველის შემდეგ?

ერთი წლის წინათ, 1961 წლის 6 აგვისტოს, მთელმა მსოფლიომ გაიგო კოსმოსური ეპოქის მეორე გმირის სახელი, ეპოქისა, რომლის ზღურბლზე გადააბიჯა კაცობრობამ სამასსოცდარო 12 აპრილის დღეს. მეორე, ვინც ასე გაბედულად გადალახა დედამიწის მიმზიდველობის დიდი ბარიერი, კვლავ საბჭოთა ადამიანი იყო, მაიორი გერმანე სტეფანეს-ძე ტიტოვი.

შვიდასი ათასი კილომეტრი — გზა, რომელიც უტოლდება მანძილს მთვარემდე და უკან, — კოსმონავტმა — 2 დღეზარა თავბრუდამხვევი სისწრაფით — ოცდახუთ საათზე ცოტა მეტი ხნის განმავლობაში. და მთელი ამ დროის მანძილზე ადამიანები მსოფლიოს ყველა კვეყანაში კვლავ და კვლავ ხარობდნენ საბჭოთა მეცნიერების გამარჯვებას, ულოცავდნენ ერთიმეორეს, გვილოცავდნენ ჩვენ, საბჭოთა ადამიანებს, უგზავნიდნენ მოსკოვს მადლობის სიტყვებს. ტიტოვი ჯერ კოსმოსში იმყოფებოდა, ხოლო მის სახელზე მოდიოდა მოწვევა ყველა ხალხისა და ყველა ქვეყნისაგან: „ჩამოდით ჩვენთან, კოსმოსის ახალო გმირო!".

მიწვევა ბევრი შეიქმნა. ისინი ისეთი გულწრფელი იყო, ისეთი გულითადი, რომ გერმანე ტიტოვს არ შეეძლო უარი ეთქვა, და მალე მოსკოვში საზეიმო შეხვედრების შემდეგ საბჭოთა კოსმონავტს ელოდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქი — ბერლინი.

მრავალათასიანმა მიტინგებმა დრეზდენსა და ლაიპციგში, მანიფესტაციებმა, სამოქალაქო მიღებებმა დიდ მოედნებზე, სადაც თავს იყრიდა გერმანიის უფედერაციული რესპუბლიკის ქალაქების თითქმის მთელი მოსახლეობა, — გვიჩვენეს, რომ სხვადასხვა ქვეყნების ადამიანები ტიტოვს ხვდებიან როგორც დიადი ქვეყნის წარგზავნილს, ქვეყნისა, რომელიც მთელ ძალებს ახმარს ადამიანებისათვის ყველაზე ძვირფასს — ბრძოლას მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის.

და შემდეგ ასი ათასზე მეტი კილომეტრი გზა განვლო გმირმა ტიტოვმა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში აღფრთოვანებულ ხალხებთან შესახვედრად.

ეს სურათი გადაღებულია პარტიის XXII ყრილობის მომდანარეობის ისტორიულ დღეებში. სახელოვან კოსმონავტს გერმანე ტიტოვს გარს შემოხვეულან ყრილობის დელეგატები. მათ შორის არიან საქართველოდან წარგზავნილებიც — კომუნისტური შრომის დამკვრელები ლამარა ჭეირანაშვილი, ლია დავითაძე და სხვები.

სურათზე: შეხვედრა გ. ტიტოვთან.

წინადღეს

ჩვეულებრივი და არაჩვეულებრივი

და ერთი წლის შემდეგ

ატარა სკვერი მოსკოვის ცენტრში, დიდ თეატრთან. აგვისტოს დამდეგი. დილა.

გვერდითს ხეივანში ახალგაზრდა ქალ-ვაჟი გამორნდა: მფრინავი-კაპიტანი და მისი თანამგზავრი ქალი. აუჩქარებლად მივიდნენ შადრევანთან. მიიხედ-მოიხედეს. ირგვლივ სკამები დაკავებულია. ერთი წუთით ჩამოსხდნენ მარმარილოს თასის კიდეზე.

სკვერის გასწვრივ დაუსრულებლივ მიდი-მოდიან... მოსკოველები, ჩამოსულნი, ტურისტები. ერთი სამსახურის საქმეებზე მიიჩქარის, მეორე — მაღაზიაში, სხვები შესაქცერიან თეატრის ფრონტონს, ბრიჭყალა კვადრიგი რომ ამშვენებს. ვაშლის ხეების ჩრდილში ხანშიშესული ადამიანები სხედან. ახალგაზრდობას მზით განათებული სკამები აურჩევია. ბევრ მათგანს თან სახელმძღვანელოები და წიგნები აქვს. ინსტიტუტებსა და ტექნიკუმებში მისაღები გამოცდების ხანა დადგა.

და შეუკავებელი სურვილი გიპყრობს — გამოვარდე შუა მოედანზე, ხელები ასწიო, გააჩერო ტრანსპორტისა და ფეხით მოსიარულეთა ნაკადი, და შესძახო, ისე, რომ მოძრაობა დადგეს და წუთით ყველაფერი გაირინდოს:

— შეხედეთ! აი იქ, შადრევანთან, კაპიტანი გერმანე ტიტოვია თავისი ცოლით, იგი იღიმება, ოხუნჯობს, თითქოს აქ არაფერია. ამ დღეებში კი იგი ხომ კოსმოსში უნდა გაფრინდეს!

არა, არ შეიძლება დაიძახო ეს. მაგრამ მთელი ეს დღე ყოველი წვრილმანით მეხსიერებაში დამრჩა, ვიხიდან ბედნიერება მხვდა იმ დღეს გმირის გვერდით ვყოფილიყავი.

...გაფრენის წინადღეს გერმანე და თამარ ტიტოვები მოსკოვში სეირნობდნენ. დიდი თეატრის წინ პატარა სკვერიდან სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე წავიდნენ. იქ „კოსმოსის" პავილიონში დედამიწის თანამგზავრებთან გაჩერდნენ. თამარი უსმენდა გერმანეს, მაგრამ არაფერი ეყურებოდა. გერმანე გატაცებით უხსნიდა საპლანეტთაშორისო სადგურის მოწყობილობას, რომელმაც მთვარის უკანა მხარის ფოტოსურათები გადაიღო, და პირველი კოსმოსური ხომალდების მოწყობილობას, რომლებითაც ოთხფეხი მზვერავები აფრინდნენ. თამარი კი ფიქრობდა, განუწყვეტლივ ფიქრობდა: „მალე ეს უნდა გაფრინდეს, ძალიან მალე!..."

მაგრამ ქმარს რომ უყურებდა, ყოველთვის რწმენდებოდა, რომ იგი გასაოცრად დამშვიდებული იყო, ოდნავი მღელვარება არ ეტყობოდა. პირდაპირ ჩინებულ გუნებაზე იყო.

შემდეგ წავიდნენ ხიმკაში.

— შეხედე, რა დიდი წყალსაცავია. იქიდან იგი ალბათ ხელისგულზე ოდნავ მეტი გამოჩნდება.

ისადილეს და მოსკოვში დაბრუნდნენ. მაღაზიებში შეიარეს. რაღაც წვრილმანები იყიდეს. გერმანეს გაახსენდა, რომ დიდი ხანია პირობა შეეძინა კარის საკეტი. საკეტიც იყიდეს. და მხოლოდ რომ მოსაღამოდა, წავიდნენ შინ. გერმანეს უნდოდა ებანაენა. მაგრამ დრო ცოტაღა იყო დარჩენილი. მოასწრეს მხოლოდ ტყის პირას ცოტა ხანს ჩამომსხდარიყვნენ. შინ, საკეტი რომ გაახსენდა, გერმანემ სწრაფად ჩადგა იგი კარში.

...ჩვეულებრივი საქმეები, ჩვეულებრივი საუბრები. და ამავე დროს — სრულიად არაჩვეულებრივი, ცნობიერებასთან შეუთავსებელი საათები კოსმოსში გაფრენის წინადღეს.

დადგინეს მანქანების ნაკადები, ირგვლივ ყველაფერი გაირინდა. წითელ მოედანზე მოსკოვში, ელისეს ველებზე პარიზში, ტრაფალგარ სკვერზე ლონდონში, ბროდვეიზე ნიუ-იორკში, რეგოლუციის მოედანზე ჰავანაში — მთელ მსოფლიოში ადამიანები ისმენდნენ და კითხულობდნენ:

„... 1961 წლის 6 აგვისტოს 9 საათზე მოსკოვის დროით მძლავრმა საბჭოთა რაკეტამ დედამიწის გარშემო ორბიტაზე გაიყვანა ახალი კოსმოსური თანამგზავრი ხომალდი „აღმოსავლეთი-2". რომელსაც პილოტობს მფრინავი-კოსმონავტი — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მოქალაქე, კომუნისტი, მაიორი ამხანაგი გერმანე სტეფანეს-ძე ტიტოვი..."

მსოფლიოში ბევრი ლამაზი ყვავილია. ყვავილები კლუმბებზე, ყვავილები ქალიშვილთა ხელში, და მსოფლიოს ყველა ყვავილი იმ წუთებში მარტო მას ეკუთვნოდა...



ევრი შეხვედრა ჰქონდა გერმანე ტიტოვს, ბევრი ამბავი მოხდა მის ცხოვრებაში ამ განვლილ წელს. ბევრ რამეზე მიხდოდა მასთან საუბარი თვითეული შეხვედრისას. მაგრამ პირველი კითხვა ასეთი იყო — განსაკუთრებით რამ აიღლვა ამ წელს, სწორედ იმ წამის შემდეგ, როცა ფრენა რომ დამთავრა, კვლავ იგრძნო ფეხქვეშ მშობლიური მიწა?

— ხომ არ ფიქრობთ, რომ გაფრენის შემდეგ უფრო სენტიმენტალური გავხდი ან ჩემთვის საერთოდ უცხო იყოს სულიერი ღელვა? — მკითხა გერმანემ პასუხად.

— არა. თქვენი თავდაჭერილობა კარგად არის ცნობილი. მით უფრო საინტერესოა ვიცოდეთ, როდის დაკარგეთ იგი, შესაძლოა, ცოტა ხნით, მაგრამ მაინც დაკარგეთ გაფრენის დღის შემდეგ განვლილ ამ წელიწადში.

— ბევრი რამ გულის სიღრმეში მწვდება, მახარებს, ადამიანურად მაწუხებს. მაგრამ ვცდილობ თავდაჭერილობა არასოდეს არ დავკარგო. სამსახური მაქვს ასეთი! — დასძინა გერმანემ და სახე გაუნათა ჭკვიანმა და სწრაფმა ღიმილმა.

...ბოლო სხეული ჯერ კიდევ გამსჭვალულია სიჩქარის შეგრძნებით. როგორღაც განსაკუთრებით სასიამოვნოა ხელს ჰკიდებდე მიწიერ საგნებს; ხედავდე ირგვლივ ადამიანთა სახეებს; ხელი ჩაუშვა ჭის წყალში, წყლით დაისველო სახე, თმა... და აი ხელში გიჭვს ტელეფონის ჩვეულებრივი მილი: მოსკოვი. გერმანეს ესმის ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის ხმა:

„გისმენთ, გერმანე სტეფანეს-ძეო. გამარჯობათ. სულით და გულით გილოცავთ!.. ვამაყობთ იმით, რომ თქვენ, საბჭოთა ადამიანმა, კომუნისტმა, გააკეთეთ ეს. თქვენ ახლა პარტიის წევრობის კანდიდატი ალარ ხართ. ჩათვალეთ, რომ თქვენი საკანდიდატო სტაჟი უკვე გავლილია. იმიტომ რომ კოსმოსში თქვენი ყოფნის თვითეული წუთი შეიძლება წლებად ჩათვალოს..."

გერმანე აღელვებული უძღვნის მადლობას თავისი გაფრენის მადალი შეფასებისათვის. პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელის გულითადი საუბარი კოსმონავტთან კიდევ რამდენიმე წუთს გრძელდება.

— მეორე დღეს, — გვიამბობს გერმანე ტიტოვი, — ახალი გაზეთები რომ გადავშალე და წვიკითხე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება პარტიის წევრად ჩემი მიღების შესახებ, სიხარულისაგან სუნთქვა შემეკრა. სიხარულმა ცრემლი მომგვარა. მეგონა, რომ ნიკიტა სერგის-ძემ უბრალოდ გულუხვად შემაქო, ნამდვილად კი ვადაზე ადრე გავხდი პარტიის წევრი. ვინ არ აღელდებოდა ჩემს ადგილს?

აქ ყველაფერი ნაცნობია, საკონსტრუქტორო ბიუროები, ლაბორატორიები, საამქროთა კორპუსები, მოსაფლტებელი გზები და გაზონებიც კი. და, რა თქმა უნდა, ადამიანები. ისინი ხელს ართმევენ, ულოცავენ, სიხარულით იღიმებიან. კოსმონავტები იური გაგარინი და გერმანე ტიტოვი და ისინი, ვინც ახალი გაფრენებისათვის ემზადებოდა, სტუმრად ეწვევენ კოსმოსური ხომალდების გიგანტური „სახელოსნოს" ადამიანებს.

ძალიან ძნელია წარმოიდგინო კოსმოსური ხომალდის დამზადების პროცესი. ბევრს რიდი შეუძლია მთლიანად წარმოიდგინოს ეს პროცესი, მაგრამ თვითეული მათგანი, ვისაც პირადად იცნობს გერმანე, რიგითი ზეინკლებიდან და მემონტაჟეებიდან მთავარი კონსტრუქტორის თანაშემწეებამდე, ცალკეულ კვანძებზე შრომობდა ისე დაძაბულად და საქმისადმი ისეთი ერთგულებით, რომ გერმანე ბედნიერი იყო ეხილა მათი კმაყოფილი სახეები და ეთქვა მათთვის: „გმადლობთ! ხომალდმა არაფერში არ გვიმტყუნა, და მე, რჩე კი შემეძლო, ვეცადე არ შემერცხვინეთ!". იგი იდგა ქარხნის ეზოში შეკრებილი მუშების წინ, ხედავდა მათს თვალებს და ესმოდა — ეს არის მისი მთავარი ანგარიში. არ შეიძლებოდა იმედი გაგეცრუებინა ამ ადამიანებისათვის, არ შეიძლებოდა შეგერცხვინა ისინი. რამდენ დღეს და რამდენ ღამეს ფიქრობდნენ, აკვირდებოდნენ, აკითხებდნენ, ამთავრებდნენ თავიანთ ნაშიერებს, რამდენი გონება და ძალა ჩაქსოვეს მათში! გერმანეს ესმოდა, რომ ფრენისათვის მზადების მთელი დროის განმავლობაში და კოსმოსში ერთი დღე-ღამის მანძილზე იგი მათთან ერთად პასუხს აგებდა ორასმილიონიანი ხალხის წინაშე, მთელი კაცობრობის წინაშე გაფრენის წარმატებისათვის. და რაოდენ გასაგები იყო ახლა მათი საერთო სიხარული!

გერმანე მაგრად გადაეხვია მთავარ კონსტრუქტორს, ადამიანს, რომელსაც დიდ პატივს სცემს, და გულწრფელად უთხრა: „გმადლობთ". და პასუხად გაისმა გულში ჩამწვდომი — „შენც გმადლობ".

ეს ძალიან ტევადი სიტყვა ტიტოვის გმირობის ღირსეული შეფასება იყო. იგი სრული უფლებით იყო ნათქვამი პირველ ენთუზიასტთა სახელით, რომლებმაც ჯერ კიდევ 30-იან წლებში დაიწყეს კვლევა და კოსმოსური რაკეტების მოდელების პრაქტიკული გადაწყვეტა, იმათი სახელით, ვინც განახორციელა კაცობრიობის ოცნება — საბჭოთა კონსტრუქტორების, მეცნიერების, სპეციალისტებისა და მუშების სახელით. ასეთი მადლობა წარმოუთქვამლად ძვირფასია.

— სიტყვა ეძლევა მფრინავ-კოსმონავტს გერმანე ტიტოვს.

გერმანე კრემლის ყრილობათა სასახლის დარბაზში მიდის. კომუნისტური პარტიის ყველაზე ახალგაზრდა წევრი ისტორიული XXII ყრილობის დელეგატთაგან. მას, ტაშს უკრავენ დელეგატები, ყრილობის სტუმრები, ტაშს უკრავს პრეზიდიუმი. მან გაიარა ერთი, მეორე, მესამე საფეხელი ყველა ეხედავდა მის ბიჭურ ცოცხალ, მოელვარე თვალებს. რა კარგია, რომ ჩვენ ასე ბევრი გვყავს ასეთი სერიოზები, საშები, ზოიები, ისინი უკვე გმირები არიან. დიე პატარა გმირები, მაგრამ ყოველი საგმირო საქმისათვის მზადმყოფნი.

კალუგა. მწვანე კუნძულის ცენტრში ჰაერში ატყორცნილა მოელვარე რაკეტა და იქვე გვერდით დგას ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული ადამიანი, რომელმაც მიწას აჩუქა ანბი რაკეტის შესახებ. მას უკან გადაუწევია თავისი მძიმე, ხშირი ხუჭუჭა თმით შემოსილი თავი და მაღალ ფეხლს ქვემოდან კაფიტარად გაჰყურებს სამყაროს.

ციოლკოვსკი... ჯერ კიდევ ძალიან დიდ ხანს, ალბათ ყოველთვის დაუბრუნდებიან ადამიანები მის სახელს.

ჩვენ შემოვუარეთ სკვერს და გავემართეთ ედუარდ კონსტანტინეს-ძის სახლისაკენ. აქ ყველაფერი მზრუნველად დაცულია იმ სახით, როგორც დიდი მეცნიერის სოცოცხლეში იყო.

კოსმონავტები მუზეუმში შეიდნენ, ხმები მიჩუმდა, აი ციოლკოვსკის სახელოსნო. ძველ, ბევრი რამის მნახველ დაზგაზე დევს რანდა, ხერხი. აქვეა ჩვეულებრივი პატარა გირგი. მის გვერდით სხვადასხვა, ზოგჯერ თვითნაკეთი სამარჯვეს კომპლექსი. პატრონს* გენიაზე გამრავლებულ ამ უბრალო ინსტრუმენტებსა და ხელსაწყოებს იქით მიწის თანმგზავრობა, „აღმოსავლეთი-1", „აღმოსავლეთი-2", მომავალი გაფრენები გაოლაქტიკებისათვის.

მუზეუმიდან უკანასკნელი გამოვიდა გერმანე. შეჩერდა, თვალი მოავლო ამხანაგებს:

— აბა, რას იტყვით?

ყველა დუმდა.

— არა, თუნდაც რამე თქვით, — სთხოვდა იგი.

ერთ-ერთმა კოსმონავტმა ჩაილაპარაკა:

— არ ვიცი, თქვენ რას იტყვით, მაგრამ არ მეგონა, რომ ეს მუზეუმი ასე ამაღელვებდა.

— მე პირდაპირ ერუანტელმა დამიარა, მისი რანდა ხელში რომ ავიღე, — თქვა მეორემ.

— თქმა არ უნდა, ნათლიასთან ვიყავით, — დაასკვნა გერმანემ.

კიდევ დიდხანს იდგნენ ისინი და ჩუმი ხმით რაღაცაზე საუბრობდნენ. გარეშე ადამიანს ეგონებოდა, მუზეუმიდან გამოსულ ახალგაზრდებს საშური არაფერი აქვთო.

საშური არაფერი? ალბა კოსმოსი? კოსმოსი, რომლისკენ გზაც ციოლკოვსკიმ გვიჩვენა! და თითქოს სახელდობრ ამ აზრმა გაუელვა კოსმონავტებს. მათ საუბარი შეწყვეტეს და სწრაფად წავიდნენ მანქანებისაკენ.

მაშ ასე, გზა მშვიდობისა!

კოსმონავტები წავიდნენ, რომ მოემზადონ კოსმოსში ახალი გაფრენისათვის, ჟურნალისტი კი სად უნდა წავიდეს? გადაწყვეტილება ერთბაშად დამებადა: „ხვალ დილით აუცილებლად წავალ დიდ თეატრთან მდებარე პატარა სკვერში, სადაც ადამიანთა განუწყვეტელი ნაკადი მოძრაობს. სადაც ბევრია ყვავილები კლუმბებში და ქალიშვილების ხელში. სადაც კოსმოსურ გაფრენათა სამშობლოს დედაქალაქის ცენტრია. და იქ სავსებით შესაძლებელია, რომ შევხვდები კოსმონავტს — ვ-ს, რომელიც მოსულა, რომ ცოტა ხანს ჩამოჯდეს ტოტებგაშლილი ვაშლის ხეების ქვეშ, სანამ სტარტს აიღებდეს კოსმოსში.

იური დოკუჩაევი.

საგაზეთო „ახალი ამბების" კორესპონდენტი.

კოსმონავტის სახმელეთო გზები

ერთი წლის წინათ, 1961 წლის 6 აგვისტოს, მთელმა მსოფლიომ გაიგო კოსმოსური ეპოქის მეორე გმირის სახელი, ეპოქისა, რომლის ზღურბლზე გადააბიჯა კაცობრობამ სამასსოცდარო 12 აპრილის დღეს. მეორე, ვინც ასე გაბედულად გადალახა დედამიწის მიმზიდველობის დიდი ბარიერი, კვლავ საბჭოთა ადამიანი იყო, მაიორი გერმანე სტეფანეს-ძე ტიტოვი.

შვიდასი ათასი კილომეტრი — გზა, რომელიც უტოლდება მანძილს მთვარემდე და უკან, — კოსმონავტმა — 2 დღეზარა თავბრუდამხვევი სისწრაფით — ოცდახუთ საათზე ცოტა მეტი ხნის განმავლობაში. და მთელი ამ დროის მანძილზე ადამიანები მსოფლიოს ყველა კვეყანაში კვლავ და კვლავ ხარობდნენ საბჭოთა მეცნიერების გამარჯვებას, ულოცავდნენ ერთიმეორეს, გვილოცავდნენ ჩვენ, საბჭოთა ადამიანებს, უგზავნიდნენ მოსკოვს მადლობის სიტყვებს. ტიტოვი ჯერ კოსმოსში იმყოფებოდა, ხოლო მის სახელზე მოდიოდა მოწვევა ყველა ხალხისა და ყველა ქვეყნისაგან: „ჩამოდით ჩვენთან, კოსმოსის ახალო გმირო!".

მიწვევა ბევრი შეიქმნა. ისინი ისეთი გულწრფელი იყო, ისეთი გულითადი, რომ გერმანე ტიტოვს არ შეეძლო უარი ეთქვა, და მალე მოსკოვში საზეიმო შეხვედრების შემდეგ საბჭოთა კოსმონავტს ელოდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქი — ბერლინი.

**მრავალათასიანმა მიტინგებმა დრეზდენსა და ლაიპციგში, მანიფესტაციებმა, სამოქალაქო მიღებებმა დიდ მოედნებზე, სადაც თავს იყრიდა გერმანიის უფედერაციული რესპუბლიკის ქალაქების თითქმის მთელი მოსახლეობა, — გვიჩვენეს, რომ სხვადასხვა ქვეყნების ადამიანები ტიტოვს ხვდებიან როგორც დიადი ქვეყნის წარგზავნილს, ქვეყნისა, რომელიც მთელ ძალებს ახმარს ადამიან

შეხვედრები გერმანე ტიტოვთან

კოსმოსის მაგელანი

იდგა აგვისტოს მცხუნვარე დღე.

მოსკოვიდან ზღვის პირას ჩასული სამი ჟურნალისტი სტუდენტი ვისვენებდით. ჭადრების ხეივანში ვკითხულობდით გერმანელი პოეტის კლაუს ვარფის ლექსს „კოსმონავტი-1“. ავტორი წერდა: მე მწამს, კოსმონავტი № 2-იც საბჭოთა ადამიანი იქნებაო.

ენამ უყოყმანოდ გერმანელ პოეტს.

„— 1961 წლის 6 აგვისტოს 9 საათზე მოსკოვის დროით საბჭოთა კავშირში დედამიწის თანამგზავრის ორბიტაზე გაშვებულ იქნა კოსმოსური ხომალდი „აღმოსავლეთი — 2“.

ხომალდის „აღმოსავლეთ —2“ პილოტია საბჭოთა კავშირის მოქალაქე კოსმონავტი მფრინავი, მაიორი ამბ. გერმანე სტეფანეს-ძე ტიტოვი.

ლევიტანის ხავერდოვანი ხმა იღვრებოდა რეპროდუქტორიდან. ეს ხმა ესმოდა ლონდონს და პარიზს. ყუმბარასავით სკდებოდა ბროდვეიზე, ესმოდათ ოკეანეში მიმავალ ხომალდებს და მეცხრე ცაში აჭრილ საჰაერო ლაინერებს, ნერვიულობდა თეთრი სახლი და ვატიკანი და კანაველარლის კონცხიდან აფრენილი, რაკეტები პანტასავით ცვივოდნენ ოკეანეში.

ლაპარაკობდა მოსკოვი, ზეიმობდა წითელი მოედანი.

გერმანე ტიტოვი იბყრობდა კოსმოსს.

... წამით თვალწინ დაგვიდგა წითელი მოედანი. კოსმონავტ № 1-ის ტრიუმფალური ჩამოსვლა ღედაქალაქში. მავზოლეუმზე ნ. ს. ხრუშჩოვის ; გვერდით იური გაგარინი, მტრედით ხელში.. თითქოს ეს იყო გუშინ. დღეს კი კოსმოსის მაგელანი № 2 არღვევდა კოსმოსურ სივრცეებს და მისი სახელი იყო გერმანე ტიტოვი.

დეპეშათა სააგენტოები, მსხვილი ბურჟუაზიული გაზეთები, მსოფლიოს რადიო და ტელევიზია მეორე კოსმოსური სიჩქარით მუშაობდა: მსოფლიოს ამცნობდა ახალი გმირის დაბადებას.

გული გვწყდებოდა, რომ არ ვიქნებოდით მოსკოვში აგვისტოს იმ დღეს, როდესაც ვარსკვლავთა მპყრობელი № 2 ტრიუმფით ამაღლდებოდა მავზოლეუმზე, მაგრამ თავს ვინუგეშებდით, იქნებ ბედმა გაგვიღიმოს და ოდესმე ინტერვიუ გამოვართვათ კოსმოსის მპყრობელსო.

პირველად კოსმოსის მაგელანს სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ უმაღლეს პარტიულ სკოლაში შეეხვედით.

გერმანე დიდი სიამაყით ამბობდა იმის შესახებ, რომ ის გმირული ლენინური პარტიის აღზრდილია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფუკოვსკის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემიის მსმენელი გერმანე ტიტოვი მეცადინეობის დროს.

ფოტო ი. სნეგირევისა.

დიდი საქმის თაოსანი

წლეგი და ადამიანი

გას რკინიგზის სამმართველოში შეხვედებით, დინჯი, აუჩქარებელი ნაბიჯით დადის, სახეში მუდამ პირდაპირ გიყურებთ. ან რა აქვს თავდასაბრალი. იგი ხომ პირველი ქართველი რკინიგზელი ქალია, რომელსაც ლენინის ორდენმა მკერდი დაუმშვენა? და ეს მაღალი ჯილდო მისთვის ნამდვილად ალალია.

ნინო უჩავამ თბილისის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტი დაამთავრა. დაამთავრა და მეუღლესთან ერთად სამუშაოდ თურქმენეთ-ციმბირის გზაზე წავიდა. ქ. ჯამბულის დეპოში დაიწყო ინჟინრად მუშაობა, მისმა მეუღლემ — შალვა კვეტენაძემ დისპეტჩერად.

ეს იყო ოციოდე წლის წინათ...

ნინოს უყვარდა თავისი საქმე და კარგადაც უძღვებოდა მას. მაგრამ ინჟინერ ქალს ახალი საქმე შესთავაზეს, უკეთ რომ ვთქვათ, თვითონ ნინომ მოისურვა ქალთა ბრიგადას სათავეში ჩასდგომოდა და მძიმეწონიანი ორთქლმავალი ჩეკპაკის უღელტეხილზე ეტარებინა. ეს დიდი საქმე იყო, მაგრამ იგი როდი შეუშინდა, ნინოს უყვარდა ორთქლმავალი და კარგადაც იცნობდა რკინის გოლიათს. ამიტომაც თამამად გაუსწორა თვალი სიძნელეს.

დიდ კრებაზე სამმართველოდან წარმოგზავნილმა მემანქანეებს ტვირთბადების გაფიდებული ნორმები მოსთხოვა. ათიულმა მემანქანემ პასუხის ნაცვლად დუმილი არჩია.

ჩაკპაკის უღელტეხილი მძიმე შემადგენლობის გადასატარებლად გამოუსადეგარია, ამტკიცებდა ზოგი მათგანი, ნინო გრძნობდა, რომ ისინი სიმართლეს არ ამბობდნენ, ამიტომ განიზრახა ამ თავყრილობაზე მართალი სიტყვა ეთქვა... ამას უკარნახებდა სინდისი, თავისი მოწოდება.

იგი ტრიბუნაზე ავიდა, სუნთქვაშეკრულმა მგზავრებს გადახედა და ერთბაშად დაიწყო:

— ათას ექვსასი ტონა ტვირთი რკინის გოლიათის ზურგზე წამოსაკიდებლად არც ისე დიდია. ჩემი ორთქლმავალი უღელტეხილზე არ წაბორძიკებს, არ ჩაიჩოქებს, ჩქენ ტვირთს ტიულკუბასში ჩავიტანთ, უკან გამბრუნებულები იმავე წრის ტვირთს ჯამბულ ქალაქს ჩამოვიტანთ. ტვირთის გადასახადად დღემდე დაწესებულ დროს კი გავანახევრებთ, ეს იქნება ჩემი მოკრძალებული საჩუქარი, ქალთა დღისათვის გულწრფელად მიძღვნილი.

ტაშებმა და ხმაურია დეპოში. მემანქანე ქალს სიტყვა მუშებმა სხვადასხვაგვარად შეაფასეს. უმრავლესობისათვის ეს ჰეშმარიტება იყო, და ნამდვილად სჯეროდათ ნინოს გამარჯვება. მაგრამ იყვნენ ამ გაბედული აზრით შეცბუნებულებიც.

შეიძლება ყველას ერთნაირად არ ეღიმოდეს ცხოვრება, მაგრამ ასეა თუ ისე, ლირსშესანიშნავი დღე ყველა ადამიანის ცხოვრებაშია.

ნინოსაც აქვს თავისი დღე, განსაკუთრებული სინაზით რომ გაუღიმა, საგანგებო ნობათი რომ მოუმზადა. ეს ბედნიერი დღე 8 მარტს გათენდა ნინოსთვის.

ამ დიდი დღის მოლოდინში ნინოს ღამე ცუდად ეძინა. ინათა თუ არა, ფრთხილად წამოდგა, ბავშვი ძიძას ჩააბარა და თვითონ დეპოში წავიდა. იქ უფროსი ინსტრუქტორი, მისი საყვარელი მასწავლებელი გიორგი ფავოროვი დაუხვდა.

ერთმანეთს მიესალმნენ.

— შვილო! იქნებ საჭირო არ იყოს, მაგრამ მე მაინც მინდა რამდენიმე სიტყვა გითხრა, — ალერსიანი ხმით მიმართა მოხუცმა, ნინო ყურადღებად იქცა:

— დროის მოგებაში ადგილიდან დაძვრასაც მნიშვნელობა აქვს, ამიტომ მიიღებ კვერთხს თუ არა, ორთქლმავალი შეამოწმე და სწრაფად დასძარი. გაჩერებისას კი დამუხრუჭებას შორი მანძილიდან უნდა დაიწყებ. ქვიშაც გამოზომილად უნდა მისცე. ზედმეტი ქვიშა ვაგონებს ამუხრუჭებაში ხელს უშლის. — წყნარსგან თავდათოვლილი მობუცი, როგორც ბრძენი მრჩეველი, როგორც კეთილი მასწავლებელი და მზრუნველი მამა არიგებდა ნინოს.

— თქვენ ხომ გამაცილებთ, ძია გიორგი? — მოკრძალებით ჰკითხა ნინომ ინსტრუქტორს და ქვევიდან ახედა.

— აარა, ნინო, შენ მარტო წახვალ თანაშემწის თანხლებით, შენს ორთქლმავალზე მე საჭირო ადარა ვარ.

დეპოში თანდათანობით თავს იყრიან მემანქანეები, ინსტრუქტორები, ოსტატები. ნინოს გამარჯვება ბევრს სჯერა, ბევრს ეჭვიანობს, მაგრამ ენამოლესილი ყმეტდაც არიან, მუდამ საწინააღმდეგოს რომ ეარაყდობენ.

მეგობრებმა კეთილი სურვილებით ჯიხურზე აცილეს მემანქანე ქალი.

გრილი, ხასხასა ღილა იყო... ცა ულრუბლო, ჰაერი სუფთა, გამჭვირვალე, მთების კალთებზე მოფენილი ნისლის ბაბთა ამრმავალ მზეს აეფერადებინა და სადაც არის გაფანტვდა.

მზის სხივები გზას ჯიხურისკენაც მიიკვლევენ და იქ კუკუმალულობანას თამაშს აჩაღებენ. ორთქლმავალს შავად ლაქლაქა სხეულს უკოცნიან. მაგრამ გაავებულ გოლიათს არაფრად ეპიტნავება ასეთი სინაზე. იგი გაგულისებულია. ამიტომ ქშენავს, ხვნეშის, გუგუნებს. გრძნობს, რომ ამ მთა-ველში მას მომრევი არავინა ჰყავს, გარდა პატარა ქალისა. დიახ, მისი მომთურგნავი მხოლოდ ნინოს მარჯვენაა, და ეს ნინოს უხარია... ნინოს უყვარს ეს მოთვინიერებული, ხმაურიანი გოლიათი.

ეი იწყება დიდი აღმართი. ნინო დროულად იქერს თადარიგს. რეგულატორს მაქსიმუმამდე აღებს და ახალ ძალას მატებს ორთქლმავალს. ისიც არ რჩება ვალში, ხალისიანი შიშინაკაუნით მაღლა ააქვს მძიმე ტვირთი და კვლავ მიჰქრის. მასთან ერთად ყველაფერი მიჰქრის, ყველაფერი მოძრაობს, მოლანდებასავით ქრებიან ხეები, ამოშვერილი კლდეები, ამოშშრალი გუბეები... იწყება მოსახვევი. ორთქლმავალი ხვნეშის, ძიგძიგებს... და კვლავ მიჰქრის. მიჰქრიან ნინოს ფიქრებიც... ფიქრები შვილზე, ვალდებულებაზე... გზაზე... ყველაფერზე. იგი გზას გაჰყურებს. მზერა ქვაბის შუბლზე გადააქვს, ცახცახებენ ისრები. ვერცხლისწყალივით მოძრაობს წყლის სვეტი შუშაში.

ნინომ გუმანით იცის, სად იწყება ციცაბო, დაღმართი, მოსახვევი, და მისი ბრძანებაც მოკლეა.

— წყალი...

— ორთქლი...

— ნახშირი...

და მზერა კვლავ მწვანე ქუჩაზე გადაადგილ... პრჭარისგან დასუსხულ სახეზე ალი ედება.

აჰა ჩათავდა დაღმართი... იწყება ტრამალები, ზაზუნების სორრებით დახრული ტრამალები... კიდევ ცოტა, და გამოჩნდება სადგური ტიულკუბასი.

მხოლოდ ორ სადგურზე შეჩერდა შემადგენლობა; მოიმარაგა წყალი, ნახშირი, საცხები და კვლავ გავშურა. საოცარი მემანქანის შესახვედრად, ტიულკუბასში ხალხი მოგროვდა...

— ბარაქალა შენს ქალობას — შესძახეს ერთხმად... ქართველ ქალთან საუბარი მოესურვათ, მაგრამ ნინოს დრო არა აქვს.

პარტიის, ხელისუფლების დავალების შესრულება უნდა უპატაკოს... ამიტომ ჩქარობს... ძალიან ჩქარობს...

ვაგონების უგრძესი მწკრივი ნინოს ორთქლმავალს კუდად მოაბეს... 1.600 ტონა ტვირთი!! საოცრებაა... მიწას ზანზარი გაავქს... ასეთი რამ ამ არემარეს ჯერ არ სმენია... ასეთი სიმძიმე მიწას ჯერ არ უგრძვნია... და ნუთუ ამის თაოსანი ეს პატარა... შავგრემანი ქალია?

— ვაშა შენს საქმეს, გმირო ქალო...

— აი მზარჰამოტეხილი მურყანი... ესეც ქონგურებიანი ციცაბო... ახლა ზაზუნების სორროები დახრული ტრამალი დაიწყება... — ფიქრობს ნინო და თვალს არ აშორებს მანომეტრის მოცახცახე სვეტს... აღმართს... დაღმართს... და ორთქლმავალს გრუხუნში გაისმის მისი ბრძანება:

— წყალი...

— ორთქლი...

— ნახშირი...

ღია ხემაფორს ჩაუქროლა მატარებელმა და მეისრის ჯიხურთან მძლავრად შეჭყვირა, ეს გამარჯვებულის ომახიანი შეძახილი იყო, რომელიც ძლევის სიმღერასავით ათასმა ხმამ აიტაცა. „ქალთა ბრიგადას გაუმარჯოს“, „ნინო უჩავას გაუმარჯოს“, — გაისმა შეძახილები.

ნინო შეცბუნდა, ამ შეძახილების მნიშვნელობა უცბად ვერც კი მოისაზრა, მაგრამ როცა ზღვა ხალხს მოსცლის მიზეზს მიხვდა, გაწითლდა, ასეთი ზეიმით შეხვედრა ეუნერწულა... ამ დიდი პატივის სადარი, განა რა გავაკეთეო — ფიქრობდა. ორთქლმავალმა სცა შეანელა... აღტაცების შეძახილებმა ახალ ნაკადად იფეთქა.

ნინო ჯიხურის მოაჯირს მოადგა, სიხარულისაგან თვალები აუცრემლდა, ტიულკუბასში სიჩუქრად მიღებული თაიგული მაღლა ასწია და ჰაერში შეარხია. ათასი ხელი... ათასი თაიგული შეირხა ჰაერში. სადგურზე მის გასწვრივ... მოედანზე ყველგან ხალხია. ყველგან თაიგულები.

საკონტროლო ბოძთან გაჩერდა შემადგენლობა... ხალხი მემანქანის ჯიხურს მიაწყდა. ყველას სურს მაშაც ქალთან ახლოს მივიდეს, ყვავილები ესროლოს, ხელი ჩამოართვას, გადეხვიოს და დიდი გამარჯვება მიულოცოს.

ნინო კვლავ იღიმება... იღიმება ბედნიერი ქალის ღიმილით. იგი მაღლა აწეული მარჯვენით თაიგულს არხევს, ყვავილებს მოცილებული სიფრიფანა ფურცლები ვარდისფერ ფანტელად ცვივა დაბლა... ხალხიც არხევს თაიგულებს და კვლავ სურნელოვან ფანტელად ცვივა ფურცლები...

ნინო მოსკოვშია... კრემლში... მიხეილ კალინინთან. მხცოვანმა სახელმწიფო მოღვაწემ ტაშის გრიალში ყველაზე დიდი ჯილდო — ლენინის ორდენი გადასცა... ხელი ჩამოართვა და ახალი გამარჯვებები უსურვა.

ეს ბედნიერი წუთები ნინოს სამუდამოდ დაამახსოვრდა. ან როგორ უნდა დავიწყებოდა? ასეთ დიდ სახელს, ასეთ დიდ ჯილდოს მიაღწია? და ისიც 27 წლის ასაკში.

ნინოს გზათა სამინისტროში შეხვედრა მოუწყეს და იქ მის შავგრემან, ლამაზ სახეს, კვლავ სიწითლემ. გადაკრა...

სამინისტროს მაღალ კედლებზე, დიდსა და სახელოვან ადამიანთა პორტრეტებს შორის მან თავისი პორტრეტი შეიცნო.

ცხოვრება წინ მიიწევს. დღეს ყოველივე ახალსა და სრულყოფილს ბაკავს ელენ. ადამიანმა ცა, ზღვა და ხმელეთი დაიპყრო, მის ნამდვილ პატრონად იქცა.

ნინოს არ უყვარს, როცა თავს ტაბილი მოგონებებით ინუგეშებენ, მას არ უყვარს, როცა ცხოვრებას უკან გაზომილი ნაბიჯით მისდევენ. არა, ეს ნინოს ბუნებას არ შეეფერება. მას სურს სიახლეს მხარდამხარ გაჰყვეს, გაბედულად, ვაჟკაცურად.

ორთქლმავალმა თავისი დრო განვლო, 145 წლის ასაკში ის უკვე მობერდა. ნინომ არ დაიყოვნა — ახალ საქმეს ახალი სპეციალისტები სჭირდებაო, — თქვა და ელმავლის შესწავლას შეუდგა. ელექტროტექნიკურ ფაკულტეტზე სწავლა გაგრძელა.

დღეს ნინო უჩავა თავდადებით ემსახურება რკინიგზის ტრანსპორტს. სამმართველოში სალოკომოტივო სამსახურის ერთ-ერთი მოწინავე ინჟინერია. იგი კარგი დედაც არის — სამშობლოს ორ კარგ შვილს უზრდის.

ლამარა გგაზავა-სანაძე.

* * *

სურათზე: ინჟინერი ნ. უჩავა.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

რკინიგზელის დღესთან დაკავშირებით და ხანგრძლივი და ნაყოფიერი საინჟინრო მოღვაწეობისათვის მიენიჭოთ საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდება

1. **აბზიანიძეს** გიორგი მიხეილის-ძეს — ამერიკავკასიის რკინიგზის თბილისის განყოფილების მოძრაობის განყოფილების მოადგილეს
2. **ანტონოვს** ალექსანდრე ანტონის-ძეს — პენსიონერს
3. **ბაგაროვს** გიორგი კარპეს-ძეს — ამერიკავკასიის რკინიგზის თბილისის განყოფილების სალოკომოტივო მეურნეობის განყოფილების უფროსის მოადგილეს
4. **ბარნაბიშვილს** ლეონიდე ალექსანდრეს-ძეს — ამერიკავკასიის რკინიგზის სამმართველოს ელექტროფიკაციისა და ენერგეტიკის სამსახურის განყოფილების უფროსს
5. **გასან-ჯალალოვს** გიორგი ივანეს-ძეს — ამერიკავკასიის რკინიგზის სამმართველოს სამსახურის უფროსის მოადგილეს
6. **ვეანცელაძეს** ისიდორე ალექსანდრეს-ძეს — ამერიკავკასიის რკინიგზის თბილისის განყოფილების მოძრაობისა და სატვირთო სამუშაოების განყოფილების უფროსის მოადგილეს
7. **ვოგისვანიძეს** თამარ იუსტინეს ასულს — ამერიკავკასიის რკინიგზის ზესტაფონის სალიანდაგო დისტანციის ინჟინერს
8. **დევიძეს** ნოე სპირიდონის-ძეს — ამერიკავკასიის რკინიგზის სამმართველოს საგზაო სამშენებლო ტრესტის მთავარ ინჟინერს
9. **თუთაიშვილს** ვერა ზაქარიას ასულს — ამერიკავკასიის რკინიგზის თბილისის განყოფილების მოძრაობისა და სატვირთო მუშაობის განყოფილების უფროსის ინჟინერს
10. **თურქაძეს** გიორგი არტემის-ძეს — ამერიკავკასიის რკინიგზის სამმართველოს ტექნიკური განყოფილების უფროსის მოადგილეს
11. **ივანოვას** ვერა ნიკოლოზის ასულს — ამერიკავკასიის რკინიგზის სამმართველოს ხელოვნერ ნაგებობათა საპროექტო ჯგუფის ხელმძღვანელს
12. **კახიანს** ილია ტარასის-ძეს — ამერიკავკასიის რკინიგზის სოხუმის დისტანციის სიგნალიზაციისა და კავშირგაბმულობის უფროსს
13. **კლიმიაშვილს** დავით სამსონის-ძეს — ამერიკავკასიის რკინიგზის სამმართველოს საგაგონო სამსახურის მთავარ ინჟინერს
14. **მაღრაძეს** დიმიტრი კონდრატის-ძეს — ამერიკავკასიის რკინიგზის სამმართველოს საგაგონო სამშენებლო ტრესტის უფროსს
15. **მაშკევიჩს** ლაზარე მიხეილის-ძეს — პენსიონერს
16. **მახათაძეს** ნიკოლოზ ანდრიასძეს — ამერიკავკასიის რკინიგზის სამმართველოს სალიანდაგო სამსახურის საინჟინრო-გეოლოგიური ბაზის უფროსს
17. **მელიქოვს** ნიკოლოზ ივანეს-ძეს — ამერიკავკასიის რკინიგზის სამმართველოს საგეგმო-ეკონომიური განყოფილების უფროსის მოადგილეს
18. **პაიჭაძეს** ალექსანდრე ალექსის-ძეს — ამერიკავკასიის რკინიგზის ხაშურის საელმავლო დეპოს მიმღებ ინსპექტორს
19. **ფოლოლაძეს** გიორგი იპოლიტეს-ძეს — ამერიკავკასიის რკინიგზის პროფკავშირის საგზაო კომიტეტის თავმჯდომარეს
20. **რამიშვილს** გიორგი ივანეს-ძეს — ამერიკავკასიის რკინიგზის სამმართველოს ტექნიკური ბიბლიოთეკის მამგეს
21. **ტამრაზოვს** ალექსანდრე ნიკოლოზის-ძეს — ამერიკავკასიის რკინიგზის სამმართველოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სამსახურის უფროსს
22. **ფირცხალავას** აკაკი არსენის-ძეს — ამერიკავკასიის რკინიგზის სამმართველოს შრომის, ხელფასისა და ტექნიკური უშიშროების განყოფილების უფროსს
23. **ქოქრაშვილს** ალექსანდრე დავითის-ძეს — ამერიკავკასიის რკინიგზის სალიანდაგო სამსახურის უფროსის მოადგილეს
24. **შავიძეს** ალექსანდრე მათეს-ძეს — ამერიკავკასიის რკინიგზის თბილისის განყოფილების საბარგო საგაგონო დეპოს უფროსს
25. **შენგელიას** შალვა ესტატეს-ძეს — ამერიკავკასიის რკინიგზის სამტრედიის განყოფილების საგეგმო ტექნიკურ-ეკონომიური განყოფილების უფროსის მოადგილეს
26. **ჩადუნელს** გიორგი ნიკოლოზის-ძეს — ამერიკავკასიის რკინიგზის თბილისის განყოფილების სამგზავრო განყოფილების უფროსს
27. **ჩარკვიანს** აკაკი სიმონის-ძეს — ამერიკავკასიის რკინიგზის თბილისის განყოფილების საელმავლო დეპოს უფროსს
28. **ცაგურიას** მიხეილ მაქსიმეს-ძეს — ამერიკავკასიის რკინიგზის თბილისის განყოფილების სალოკომოტივო მეურნეობის განყოფილების უფროს ინჟინერს
29. **ჭყონიძეს** ბიძინა ესტატეს-ძეს — ამერიკავკასიის რკინიგზის თბილისის განყოფილების მოძრაობის რეგიზორს
30. **ხიხაძეს** მიხეილ იასონის-ძეს — ამერიკავკასიის რკინიგზის სამმართველოს მატარებლების უსაფრთხო მოძრაობის გზის რეგიზორის თანაშემწეს
31. **ჯიქურაშვილს** ვახტანგ ტიმოთეს-ძეს — ამერიკავკასიის რკინიგზის თბილისის განყოფილების საგაგონო მეურნეობის განყოფილების უფროსს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ქოფენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. გელდიაშვილი

ქ. თბილისი. 1962 წლის 4 აგვისტო.

მ. მერაბიშვილის ოქროს მედალი

სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიამ ამ დღეებში ოქროსა და ვერცხლის მედლები მიანიჭა მხატვრებსა და მოქანდაკეებს სახვითი ხელოვნების 1961 წლის საუკეთესო ნაწარმოებებისათვის.

ოქროს მედალი მიენიჭა მხოლოდ ორს. ცნობილ რუს საბჭოთა მხატვარს ს. გერასიმოვს მოჟაისკური პეიზაჟების სერიისათვის და ახალგაზრდა ქართველ მოქანდაკეს მ. მერაბიშვილს ალექსანდრე გრიბოედოვის ძეგლისათვის, რომელიც თბილისში მტკვრის მარცხენა სანაპიროზეა აღმართული.

საკვები მეცხოველეობის აღმავლობის საფუძველია

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის კომიტეტში

დაკაბული შემოქმედებითი შრომით, სახელოვანი პატრიოტული საქმეებით უპასუხეს სოფლის მშრომელებმა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მოწოდებას სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკისადმი — რაც შეიძლება სწრაფად აამოქმედონ ახალი რეზერვები მეცხოველეობის მკვეთრი აღმავლობისათვის. კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობების მუშები ყოველღონეს ხმარობენ, რომ უკვე მიმდინარე წელს მნიშვნელოვნად გაადიდონ ხორაცის, რძისა და სხვა პროდუქტების წარმოება.

ამას წინათ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის კომიტეტმა აბხ. მ. ი. კუტაკოვს თავმჯდომარეობით განიხილა მეცხოველეობის აღმავლობის საფუძვლის—საკვები ბაზის მდგომარეობის საკითხი. ამ საკითხზე მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ გარკვეული მუშაობის მიუხედავად, რაც უკანასკნელ წლებში განახორციელეს რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ამ მიმართულებით, მეცხოველეობას ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყოფენ საკვებით, რაც მთავარი დაბრკოლებაა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების ამოცანების გადაჭრის გზაზე. 1961 წელს წინა წელთან შედარებით, ძირითადად საკვების დიდი ნაკლებობის გამო, რძის წარმოება რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში 12 პროცენტით შემცირდა, ხოლო თვითეული ძროხის საშუალო წველადობამ შეადგინა 1.117 კილოგრამი, ნაცვლად 1.332 კილოგრამისა 1960 წელს. ხორცის წარმოება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში 1962 წლის 1 ივლისისათვის გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით შემცირდა 1.400 ტონით, ხოლო რძისა —10,8 ათასი ტონით.

ითვალისწინებენ რა წინა წლების გამოცდილებას, რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა წელს გარკვეული მუშაობა განახორციელეს საკვები ბაზის განმტკიცებისათვის.

ახლა მთავარია მოვიყვანოთ სათოხნი კულტურების უხვი მოსავალი, დროზე აეიღოთ იგი. მოწინავეთა გამოცდილება გვასწავლის, რომ ამ კულტურების უხვი მოსავლის მოყვანისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მათი ნათესების მზრუნველობით მოვლას. მაგრამ ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობებში ჯერ კიდევ იჩენენ უზრუნველობასა და უპასუხისმგებლობას საკვების წარმოებისა და დამზადების სამუშაოთა შესრულების საქმეში. 20 ივლისისათვის რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში დამუშავებულია სიმინდი პირველად მთელი ნათესი ფართობის 90,48 პროცენტი და მეორედ 69,9 პროცენტი, შაქრის ჭარხლისა პირველად —85,5 პროცენტი, მაშინ როცა ამ კულტურების პირველი დამუშავების გადადიდი ხანია გავიდა, ხოლო მეორე დამუშავება ყველგან დასასრულს უნდა უახლოვდებოდეს. განსაკუთრებით დიდი ჩამორჩენაა სიღნაღის, სამტრედიის, ბოლნისის, გურჯაანის, ზუგდიდის, ახალციხის საწარმოო სამმართველოებისა და საბჭოთა მეურნეობებს სპეციალიზებულ ტრესტის მეურნეობებში.

20 ივლისისათვის გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით გათიბულია ბუნებრივი ბალახები 17 ათასი ჰექტარით მეტი და დათესილია ბალახები — 3,6 ათასი ჰექტარით მეტი. ამასთანავე, თივის ასაღები სანუშაოება მთელ რიგ საწარმოო სამმართველოებში ჯერ კიდევ ჩამორჩენილია. ეს, კერძოდ, შეეხება თეთრი წყაროს, ამბროლაურის, ახალციხის საწარმოო სამმართველოსა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობებს. არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს თივის სადაზღვევო მარაგის დამზადება ყიზლარის ზამთრის საძოვრებზე.

აგვიანებენ აგრეთვე უხეში საკვების მოსავლის აღებას, მინდვრებიდან გატანას, დაზვინვასა და შემოსავალში გატარებას. განსაკუთრებით ჩამორჩენიან ნამჯის დამზადებაში გორის, გურჯაანის, სიღნაღისა და თელავის საწარმოო სამმართველოების კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები.

საკვების მიღების დიდმნიშვნელოვანი დამატებითი წყაროა ნაწვერალზე თესვა. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ზოგიერთ საწარმოო სამმართველოში (ბოლნისის, გორის და სხვ.) ჯეროვნად არ აფასებენ საკვების წარმოების ამ დიდმნიშვნელოვან წყაროს, ძირითადი კულტურების მოსავლის აღების შემდეგ აგვიანებენ სანაწვერალო კულტურების თესვას, ხელდან უშვებენ ნაწვერალზე თესვის განხორციელების საუკეთესო ვადებს.

სიმინდისა და სანაწვერალო კულტურების სათესი ფართობის ოდენობა შესაძლებლობას იძლევა დამზადებულ იქნეს მნიშვნელოვანი რაოდენობის სილოსი, დაიფაროს უხეში საკვების დეფიციტი, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში შეიქმნას კიდეც გარდამავალი მარაგი. მიუხედავად ამისა საქართველოს დასავლეთსა მეტად არადამაკმაყოფილებლად წარმოებს.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის კომიტეტმა აღნიშნა, რომ ასეთი მდგომარეობა სეროზულ შეშფოთებას იწვევს პირუტყვის მომავალი გამოზამთრების ნორმალურად განხორციელებისა და ხორცის, რძისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოების გადიდების დავალებათა შესრულებისათვის, და დავალა სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სანინაპროს, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოებს, მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობების სპეციალიზებულ ტრესტს, ავტონომიური და აპარის ასს რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებსა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სალოკომ აღმასკომს ყოველი ღონისძიებით გააძლიერონ საკვებთა დამზადების ტემპი, ძირეულად გაუმჯობესონ საკვები კულტურების მოყვანა, მოაწყონ მზრუნველი მოვლა მათი ნათესებისადმი.

საკითხია უახლოეს დღეებში დამთავრდეს სმინდისა და სხვა კულტურების ნაწვერალზე თესვის სამუშაოები, მაქსიმალურად გამოიყენონ ამ მიზნით თავიანი და სხვა სააღრეო კულტურებისაგან განთავისუფლებული საწყავი და დატენიანებული ნაკვეთები.

თივის აღებისათვის მთლიანად უნდა გამოვიყენოთ ყველა გამოსადეგი ფართობი, არ დატოვოთ მოუთიბავი არც ერთი ჰექტარი,

კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები მოვალენი არიან უზრუნველყონ განუხრელი შესრულება სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებისა „ნამჯისაგან მინდვრების გაწმენდისა და მზრალად ხვნის დროზე დამთავრების შესახებ“, ჩალა და სიმინდის ღერძები დაბალ უნდა აიჭრას. ყველა ღონისძიება უნდა ვიხმაროთ, რომ არ დავუშვათ მათი დიდხანს დატოვება მინდორში, რაც იწვევს გაფუჭებასა და დატაცებას.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ აღმოიფხვრას ჩამორჩენა საკვების დასილოსებაში და მთლიანად გამოიყენონ სილოსის ჩასადებად სპეციალური სასილოსე ნათესების მოსავალი, შაქრისა და საკვები ჭარხლის ფოჩი, მებოსტნეობის ნარჩენები, ველური ბალახი და სხვა ნედლეული. სილოსის დანაკარგების აღმოფხვრისა და მისი ხარისხის გაუმჯობესების მიზნით საჭიროა უზრუნველყოფილ იქნეს დასილოსების ტექნიკის დაცვა სილოსის ჩაღების პროგრესიული მეთოდების გამოყენებით (შარდოვანას, ფორმალინის, ნატრიუმის ნიტრატისა და სხვ. გამოყენება), ფართოდ უნდა გამოვიყენოთ სილოსის ჩადება მიწისზედა წესით.

პირუტყვის საკვებად მწვანე მასის გამოყენებისათვის შემოდგომაზე და აღრე გაზაფხულზე რესპუბლიკის დაბლობ რაიონებში სასილოსე და სამარცვლე სიმინდის მოსავლის აღების შემდეგ გადაწყვეტილია დაითესოს შუალედური კულტურები (ბარდა, ცულისპირა, ჰვავი და სხვ.) 55,7 ათას ჰექტარ ფართობზე, გაფართოვდეს პარკოსანი ბალახების თესვა ხეხილის, ციტრუსებისა და სხვა მრავალწლიანი კულტურების ახალგაზრდა პლანტაციების მწკრივთაშორისებში.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამმართველოს და დუშეთის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს დავალებული აქვთ უზრუნველყონ ბალახების მოსავლის აღება ყიზლარის ზამთრის საძოვრების ყველა მასივზე, მოაწყონ დანაკლისი თივის შესყიდვა. ახლა საჭიროა დაუყოვნებლივ განხორციელდეს ღონისძიებანი იმისათვის, რომ ამ საძოვრებიდან გაიყვანონ პირადი საკუთრების რქიანი პირუტყვი.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს ევალება მიიღოს ღონისძიებანი, რათა დაჩქარდეს რესპუბლიკისათვის გამოყოფილი საკვები კულტურების თესლის გატანა რაიონებში შუალედური ნათესების წარმოებისათვის, ხოლო რესპუბლიკურ გაერთიანებას „საქსოფლტექნიკას“ ევალება გაანალიროს სამუშაოები უხეში საკვების დამზადებისათვის, მოაწყოს ამ საკვებთა სარაიონთაშორისო გადამუშავება და მიაღწიოს იმ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის, რომლებსაც იგი ესაჭიროებათ.

დასასრულ აგრეთვე კომბინირებული საკვებისა და ძვალ-ხორცის ფხვნილის წარ

საუკუნე
და ეპოქა
ფოტო ს. ონანოვისა.

ტელეფონის ხაზზეა ქ. ნოენკირჩენი

გუშინ რედაქცია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქ. ნოენკირჩენში, სადაც იმყოფება თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა კოლექტივი, ტელეფონით დაუკავშირდა ჩვენს კორესპონდენტს ნ. კიშილოვსა და საქართველოს სპორტული დელეგაციის ხელმძღვანელს ვ. სამსონაძეს და სთხოვა მათ „კომუნისტის“ მკითხველთათვის მოეთხროთ დინამოელთა მატჩისა და ქართველ ფეხბურთელთა მოწინააღმდეგეების შესახებ.

ქართველ ფეხბურთელთა პირველი გამოსვლისადმი აქ განსაკუთრებულ ინტერესს იჩენენ. ნოენკირჩენის ცენტრალური სტადიონი, რომელიც 25.000 მაყურებლისათვის არის გათვალისწინებული ვფიქრობთ ყველა მსურველს ვერ დაიტევს, რადგან გარდა ადგილობრივი ფეხბურთის მოყვარულებისა, ბილეთებზე რამდენიმე დღით ადრე მოლებული იყო შეკვეთები საფრანგეთიდან, სხვადასხვა ქვეყნის ტურისტებისაგან.

გუშინ იმ სტადიონზე, სადაც პირველი თამაში გვექნება, ორჯერ ჩავატარეთ მსუბუქი ვარჯიში და ორჯერვე მოედნის ირგვლივ ხალხი გვეხვია. გერმანელები აღფრთოვანებაში მოჰყავდა მეკარე ს. კოტრიკაძის გაბედულ დალამაზ ნახტომებს, მესხის ფინტებს, კალოევის თავურ დარტყმებს, ჩოხელის დინჯ და ზუსტ თამაშს.

მართალია, ქართველი ფეხბურთელები აქ პირველად გამოდიან, მაგრამ

დღეს პირველი მატჩია

ისეთი შთაბეჭდილება მრჩება თითქოს ქ. ნოენკირჩენში დინამოელებს არაერთხელ უთამაშნიათ და ამიტომ არის, ასე კარგად რომ იცნობენ მათ. ფეხბურთის აქაურმა გულშემატკივრებმა იციან არა მარტო დინამოელთა სატურნირო შედეგები, არამედ, მსჯელობენ ცალკეულ ფეხბურთელთა თამაშის სტილზე, ტექნიკაზე.

ვინ არის დინამოელთა პირველი მეტოქე?

დასავლეთ გერმანიაში ჩემპიონატი ეწყობა ოთხ ზონად. თვითეულში გამოდის 18 კოლექტივი. სამხრეთ-დასავლეთ ზონის პირველობაში ჩვენს პირველ მოწინააღმდეგეს ქ. ნოენკირჩენის გუნდს ოთხი წელია ზედიზედ პირველი ადგილი უჭირავს. გუნდში განსაკუთრებით გამოირჩევა თავდამსხმელთა ხუთეული. ეს სწრაფი და შედეგიანი ფეხბურთელები არიან.

დღეს აქაურ სპორტულ კავშირს არსებობის 50 წელი უსრულდება. მისმა თავმჯდომარემ ნორბერტმა თბილისელი ფეხბურთელები ამ ზეიმზე მიიწვია, ხვალ კი მატჩის შემდეგ გვიწყობენ ბანკეტს. თბილისის „დინამოსა“ და ქ. ნოენკირჩენის გუნდების მსაჯად დანიშნულია საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი მანჰაიმიდან ჩენჩერი. მატჩი დაიწყება 17 საათსა და 30 წუთზე ადგილობრივი დროით ანუ 20 საათსა და 30 წუთზე თბილისის დროით.

3. სამსონაძე — გთხოვთ თბილისის დინამოელთა, მთელი ჩვენი კოლექტივის სახელით სალამი გადასცეთ ფეხბურთის გულშემატკივრებს. ქართველი ფეხბურთელები კარგ სპორტულ ფორმაში არიან, განწყობილება საბრძოლოა.

დასავლეთ გერმანიის მშრომელები ჩვენი გუნდისადმი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენენ, გუშინ დინამოელთა ვარჯიში გადაიღო ადგილობრივმა სატელევიზიო კომპანიამ და იგი სალამოს გადასცეს. ამავე გადაცემაზე მიწვეული იყო გუნდის ხელმძღვანელობა. მე მომიხდა გერმანელ მაყურებელთა წინაშე ტელევიზიით გამოსვლა ქართულ ენაზე.

ჩვენი საორიენტაციო შემადგენლობა პირველ მატჩში ასეთი იქნება: კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, ხურცილავა, ჩოხელი, ზეინკლიშვილი, გ. სიჭინავა, დათუნაშვილი, იამანიძე, კალოევი, ბარქაია, მესხი.

მომდევნო (ორი მატჩი გვექნება 8 და 11 აგვისტოს ჰანოვერში საკლუბო გუნდ „ჰანოვერ-96“ და კარლსრუეში „კარლსრუეს“ გუნდთან. ჰანოვერის სტადიონი 90.000 მაყურებელს იტევს, კარლსრუესი — 60.000-ს.

ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲘ ᲬᲧᲚᲘᲡ ᲒᲘᲚᲘᲙᲖᲔ

ახლახან იქნა გამოცხადებული რამდენიმე მსოფლიო რეკორდი ცურვაში. ტელეგრაფმა მოიტანა ცნობა კიდევ ერთი მიღწევის შესახებ. მსოფლიო რეკორდსმენმა ბატერფლის სტილით ცურვაში სუზან დორმა (ამერიკის შეერთებული შტატები) გადააჭარბა ფილადელფიაში „თავის საუკეთესო შედეგს“ 100 მეტრი 1 წუთსა და 07,8 წამში გასცურა. 17 წლის სპორტსმენის წინა მსოფლიო რეკორდი, რომელიც 1 წუთსა და 08,2 წამს უდრიდა, სწორედ ერთი წლის წინათ იქნა დამყარებული ამავე ქალაქის აუზში. (საკ.ფესი).

ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲘᲚᲓᲐ ᲛᲒᲐᲠᲝᲜᲘ

[illegible]

თᲥᲕᲔᲜᲘ ᲤᲝᲚᲚᲝᲚᲝᲠᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

მუსიკის მოყვარულები ალბათ სიამოვნებით შეიძენენ ხანგრძლივი დაკვრის გრამფირფიტებს, რომლებზეც ჩაწერილია პ. ჩაიკოვსკის სახელობის მეორე მსოფლიო კონკურსის ლაურეატების მიერ შესრულებული ნაწარმოებები.

ერთ-ერთი ფირფიტა მთლიანად დამობილი აქვს მარინე გოგლიძე-მდივნის სამმსრულებლო ხელოვნებას.

ფირფიტა დაამზადა გრამჩანაწერების საკავშირო სტუდიამ.

ᲤᲝᲚᲚᲝᲚᲝᲠᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲠᲐᲭᲐᲨᲘ

ამბროლაური. (საკ. კორ.). აქ ერთ კვირას იმყოფებოდა თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკალურ-ფოლკლორისტული ექსპედიცია.

ექსპედიციის წევრებმა შეაგროვეს და შეინიშნავეს ქვემო რაჭის ძველი ტრადიციული სიმღერები, აგრეთვე თანამედროვე ხალხური შემოქმედების საინტერესო ნიმუშები.

რედაქტორი
დ. მეიდლიშვილი.

ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ 3-ᲠᲝᲣᲪᲔᲜᲢᲘᲐᲜᲘ ᲛᲘᲜᲐᲒᲐᲜᲘ ᲛᲝᲛᲒᲔᲑᲘᲐᲜᲘ ᲡᲔᲡᲮᲘ

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

მოგებათა 88-ე ტირაჟისა, რომელიც გაიმართა 1962 წლის 30 ივლისს ქ. მინსკში.

მოგება ხვდა ᲮᲣᲗᲘᲡ თექვსმეტიანი თანრიგის სერიებისა და ობლიგაციების ᲥᲕᲔᲛᲝᲗ ᲛᲝᲚᲘᲡᲬᲔᲠᲘᲚᲘ ნომრებს:

სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით	სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით	სერიის №	ობლიგაციის №	მოგება მანეთობით
000320	1—50	100	035891	27*)	500	069167	47*)	5.000
000958	31*)	500	036324	1—50	40	069510	04*)	500
001103	1—50	100	036739	1—50	40	070407	11*)	500
001388	1—50	40	038556	04*)	1.000	070531	16*)	500
002190	26*)	500	038592	27*)	500	071461	05*)	500
002192	10*)	1.000	038950	1—50	40	071981	08*)	500
002777	11*)	1.000	039884	12*)	2.500	072047	23*)	500
003447	16*)	1.000	040137	28*)	1.000	072151	09*)	500
003668	09*)	500	040167	1—50	40	073184	22*)	1.000
004570	29*)	500	040295	06*)	500	077058	1—50	40
004723	1—50	40	040824	1—50	40	077121	38*)	500
005190	1—50	40	041820	47*)	500	078128	17*)	1.000
005243	1—50	40	042985	1—50	40	078213	10*)	1.000
005592	28*)	500	043145	1—50	100	078434	43*)	1.000
008849	03*)	500	043416	40*)	500	080546	49*)	1.000
009312	1—50	40	044179	1—50	40	080887	17*)	500
009521	27*)	500	044467	15*)	500	080944	1—50	40
011080	30*)	500	045392	37*)	500	082033	1—50	40
013476	16*)	500	046223	1—50	100	082176	30*)	500
013541	42*)	500	046431	14*)	500	082638	17*)	1.000
013674	18*)	500	046599	32*)	500	082919	27*)	500
014133	13*)	500	047389	37*)	1.000	082940	37*)	500
015676	1—50	40	048034	11*)	500	083369	1—50	40
015815	1—50	40	048107	20*)	5.000	083387	32*)	500
015942	1—50	40	048600	30*)	500	083474	23*)	500
016028	1—50	40	049157	46*)	500	084008	1—50	100
016446	40*)	500	052097	10*)	500	084374	1—50	100
017038	1—50	40	052404	1—50	100	085065	42*)	500
018116	02*)	500	053194	25*)	500	085778	22*)	500
020520	1—50	100	053449	02*)	1.000	086777	08*)	500
020824	10*)	500	053992	1—50	40	087109	1—50	40
021564	1—50	40	055337	1—50	40	088368	17*)	500
021757	1—50	40	055517	1—50	40	088426	35*)	1.000
021962	1—50	100	056527	21*)	500	088633	01*)	500
022290	1—50	40	056649	16*)	500	088652	1—50	100
022665	1—50	40	057647	1—50	40	089128	1—50	40
022748	48*)	500	059191	1—50	100	089752	17*)	1.000
023223	08*)	2.500	059534	41*)	1.000	089923	34*)	500
024523	20*)	500	059819	11*)	500	090301	44*)	500
024889	1—50	40	060079	06*)	2.500	091194	1—50	40
025592	10*)	500	060599	1—50	40	091453	20*)	500
026312	20*)	500	062081	30*)	1.000	091860	35*)	500
026723	21*)	500	062274	20*)	1.000	092105	32*)	1.000
026820	41*)	500	062836	1—50	40	092323	49*)	500
027984	21*)	500	064320	02*)	500	092739	39*)	500
028380	1—50	40	065579	24*)	500	094507	03*)	1.000
028928	33*)	500	066371	1—50	100	094614	23*)	500
030637	14*)	500	066649	1—50	40	095344	04*)	500
030695	1—50	100	066705	43*)	500	095443	1—50	40
030803	1—50	40	067041	20*)	1.000	095825	19*)	1.000
031230	34*)	2.500	067146	07*)	1.000	095944	48*)	500
031490	1—50	40	067328	15*)	500	096977	06*)	500
031769	34*)	1.000	068317	1—50	40	098027	16*)	500
032663	1—50	40	068590	10*)	500	098194	23*)	500
034757	1—50	40	068706	48*)	2.500	098277	1—50	40
035120	45*)	500	069038	17*)	1.000	098674	1—50	100
035330	15*)	500	069115	37*)	500			

*) ამ სერიის ობლიგაციების დანარჩენ 49 ნომერს ხვდა 40 მანეთი მოგება ყოველთვეულს.

ცხრილში ნაჩვენებია ოცმანეთიანი ობლიგაციების მოგებანი.

ათმანეთიან ობლიგაციებზე გაიცემა მოგების ნახევარი.

მოგების თანხაში შედის მოგებული ობლიგაციის ნომინალური ღირებულება.

ეს ცხრილი წარმოადგენს ოფიციალურ დოკუმენტს, რომლითაც შემნახველ სალაროები აწარმოებენ მოგებათა გაცემას დადგენილი წესით, გაზეთის მომდევნო ნომრის მიღების შემდეგ.

მოგებათა ტირაჟის ჩამტარებელი კომისიის თავმჯდომარე მინსკის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე Დ. ᲗᲘᲐᲑᲨᲕᲘᲚᲘ.

კომისიის პასუხისმგებელი მდივანი Ლ. Ბ. ᲕᲐᲡᲘᲚᲘᲔᲕᲐ.

ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲖᲔ

3 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ ᲰᲔᲚᲡᲘᲜᲙᲘᲡᲨᲘ

ᲰᲔᲚᲡᲘᲜᲙᲘ, 3 აგვისტო. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს ფესტივალზე „კულტურისა და ხელოვნების დღეა“. მისი პროგრამა მდიდარია. ძირითადი ადგილი უკავია ერთიანულ და საერთაშორისო კონცერტებს, რომლებიც დიდი პოპულარობით სარგებლობენ. ფესტივალის პირველ ექვს დღეში თითქმის 100 ათასი კაცი დაესწრო ას ოცდათვრამეტ საფესტივალო სპექტაკლსა და კონცერტს. სამოცდაათი ქვეყნის მსახიობები გამოვიდნენ დელეგატებისა და ᲰᲔᲚᲡᲘᲜᲙᲘᲡ მცხოვრებთა წინაშე.

მხატვრული პროგრამის უდიდეს მოკლენად იქცა ბერტოლდ ბრეხტის თეატრის საგასტროლო ჯგუფის სპექტაკლები და პეკინის ოპერის მსახიობთა კონცერტები.

ხალხით გაჩედილ დარბაზებში მღერიან ფრანგები ჟაკ ბრელი და ჟან რერა, ბოლივიელი ლუის გოტიერესი და რუმინელი იულია ბუჩუჩანუ. ᲰᲔᲚᲡᲘᲜᲙᲘᲨᲘ ახლა ბევრი კარგი ჯაზი ᲩᲐᲠᲗᲐᲡᲗ. საზოგადოება უპირატესობას ანიჭებს ჟორჟ ქუვენის ფრანგულ ორკესტრს.

დღეს დიდი ინტერესი გამოიწვიეს კონცერტებმა — „ლათინური ამერიკის მელოდიები“, „აფრიკის ხალხთა ცეკვები“ და ჯაზის საერთაშორისო საღამომ ამერიკის შეერთებული შტატების, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიისა და საფრანგეთის ორკესტრთა მონაწილეობით.

დაიწყო დიდი კონფერენცია — „კულტურული ფასეულობანი, რაც აინტერესებს ახალგაზრდობას, აღმოსავლეთსა და დასავლეთში“, და იუნესკოს ხელშეწყობით იმართება. გაცხოველებით განიხილავდნენ სტუდენტთა თეატრის პრობლემებს. თანამედროვე ლიტერატურის განვითარების საკითხები იყო ფილოლოგიის ფაკულტეტების სტუდენტთა ყურადღების ცენტრში, რომლებიც სპეციალურ დისკუსიაზე შეიკრიბნენ.

ფესტივალზე კულტურის დიდი დღესასწაულის გვირგვინი გახდა თანამედროვეობის თვალსაჩინო შემსრულებელთა — ახალგაზრდობის ფორუმის საპატიო სტუმართა, მხატვრული კონკურსების ჟიურის წევრთა კონცერტი.

მაგრამ „კულტურისა და ხელოვნების დღის“ დისკუსიები და სპექტაკლები ვერ ამოწურავენ დღევანდელ პროგრამას. მუშაობას განაგრძობდნენ კონფერენციები მუშა და სოფლის ახალგაზრდობის პრობლემებზე. კონფერენციებში მონაწილეობენ თექვსმეტი ქვეყნის წარმომადგენლები. დამთავრდა კოლოკვიუმი „ახალგაზრდობა და მშვიდობა“ — ამ დისკუსიაზე არ ყოფილა უთანხმოებანი.

განათლების დემოკრატიზაციის საკითხებისადმი მიძღვნილი სემინარის მონაწილეებმა მიიღეს კომუნიკე, რომელშიც აღნიშნულია, რომ სტუდენტთა ყველა ორგანიზაციამ უფრო მეტი ძალღონე უნდა მოახმაროს იმას, რომ განახლდეს სწავლების პრინციპები დემოკრატიზაციისა და იმის სულისკვეთებით, რომ გაფართოვდეს მთელი მსოფლიოს ახალგაზრდობის მიერ მეცნიერებისა და კულტურის სიმდიდრეთა დაუფლება.

გრძელდებოდა დელეგაციათა შეხვედრები. ავსტრიის დელეგაციამ თავის მხიარულ მუსიკალურ დღესასწაულზე „ვენა ცეკვავს, ვენა მღერის“, მიიწვია ფინეთისა და საბჭოთა ახალგაზრდობის წარმომადგენლები.

ᲰᲔᲚᲡᲘᲜᲙᲘ, 3 აგვისტო. (საკდესის სპეც. კორ.). „ფინეთში წინათ არასდროს არ მოუსმენიათ ერთდროულად ამდენი შესანიშნავი მუსიკოსისათვის“, განუცხადა საკდესის კორესპონდენტს ცნობილმა ფინელმა დირიჟორმა და პედაგოგმა ᲰᲐᲜᲜᲘᲙᲐᲘᲜᲔᲜᲛᲐ, რომელმაც კომენტარი გაუკეთა მუსიკოსთა და შემსრულებელთა საფესტივალო კონკურსის შედეგებს.



ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲬᲘᲡ ᲛᲔᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲔᲜᲘ

დუშეთი. (საკ. კორ.). თითქმის სამი ათეული წელიწადია, რაც დუშეთის განაპირას მდებარე გორაკზე აღმართულია გეოფიზიკური ობსერვატორიის შენობები. ბევრმა არ იცის, რომ ეს სამეცნიერო დაწესებულება თავისი მნიშვნელობით ცნობილია არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ მთელ მსოფლიოში. ობსერვატორია ერთ დროს მცხეთის მახლობლად, სოფელ კარსანში მდებარეობდა, მაგრამ რკინიგზის ელექტროფიკაციასთან დაკავშირებით დუშეთში გადაუტანიათ.

ობსერვატორიას აქვს სეისმოლოგიური, ელექტრომეტრული და მაგნიტური განყოფილებები. აქ დადგმულია უაღრესად მგრძნობიარე და ზუსტი ხელსაწყოები, რომლებიც აღრიცხავენ მიწის სიღრმეში მომხდარ მთელ რიგ მოვლენებს. ობსერვატორიის მუშაკები შეკრებილ მასალებს გზავნიან თბილისში, იქიდან კი მოსკოვში. დუშელი გეოფიზიკოსების დამუშავებულ მასალებს იყენებენ სხვადასხვა დარგის სპეციალისტები. მაგალითად, გეოლოგებმა, სანამ ისინი წიაღისეული სიმდიდრეების აღმოჩენას შეუდგებოდნენ, აქ უნდა შეამოწმონ თავიანთი ხელსაწყო-იარაღები.

სეისმოლოგიურ განყოფილებაში დადგმული აპარატები ზუსტად აღრიცხავენ დედამიწის სიღრმეში მომხდარ ცვლილებებს. დუშეთში კარგად იგებენ მიწისძვრებს, თუ გინდ ის ათასობით კილომეტრით დაშორებულ ადგილებში მოხდეს. ამას წინათ იაპონიის შთაბეჭდილება მრჩება თითქოს ქ. ნოენკირჩენში დინამოელებს არაერთხელ უთამაშნიათ და ამიტომ არის, ასე კარგად რომ იცნობენ მათ. ფეხბურთის აქაურმა გულშემატკივრებმა იციან არა მარტო დინამოელთა სატურნირო შედეგები, არამედ, მსჯელობენ ცალკეულ ფეხბურთელთა თამაშის სტილზე, ტექნიკაზე.

ვინ არის დინამოელთა პირველი მეტოქე?

დასავლეთ გერმანიაში ჩემპიონატი ეწყობა ოთხ ზონად. თვითეულში გამოდის 18 კოლექტივი. სამხრეთ-დასავლეთ ზონის პირველობაში ჩვენს პირველ მოწინააღმდეგეს ქ. ნოენკირჩენის გუნდს ოთხი წელია ზედიზედ პირველი ადგილი უჭირავს. გუნდში განსაკუთრებით გამოირჩევა თავდამსხმელთა ხუთეული. ეს სწრაფი და შედეგიანი ფეხბურთელები არიან.

დღეს აქაურ სპორტულ კავშირს არსებობის 50 წელი უსრულდება. მისმა თავმჯდომარემ ნორბერტმა თბილისელი ფეხბურთელები ამ ზეიმზე მიიწვია, ხვალ კი მატჩის შემდეგ გვიწყობენ ბანკეტს. თბილისის „დინამოსა“ და ქ. ნოენკირჩენის გუნდების მსაჯად დანიშნულია საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი მანჰაიმიდან ჩენჩერი. მატჩი დაიწყება 17 საათსა და 30 წუთზე ადგილობრივი დროით ანუ 20 საათსა და 30 წუთზე თბილისის დროით.

3. სამსონაძე — გთხოვთ თბილისის დინამოელთა, მთელი ჩვენი კოლექტივის სახელით სალამი გადასცეთ ფეხბურთის გულშემატკივრებს. ქართველი ფეხბურთელები კარგ სპორტულ ფორმაში არიან, განწყობილება საბრძოლოა.

ᲝᲪᲓᲐᲝᲗᲮᲘ ᲥᲣᲚᲘᲡ ᲡᲮᲕᲐᲝᲑᲘᲗ

მოსკოველებს კარგად ახსოვთ ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების ნახევარფინალში თბილისის „დინამოსა“ და არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდების მატჩი, დინამოელთა ვირტუოზული თამაში, მათი დამსახურებული გამარჯვება. ამიტომ კალათბურთელთა ამ კოლექტივების გუშინდელ შეხვედრას, ამჯერად საკავშირო ჩემპიონატის დასკვნის ტურში დედაქალაქის სპორტის მოყვარულები შეუნელებელი ინტერესით მოელოდნენ.

უნდა გვევარაუდა, რომ ბრძოლა მეტად მძაფრი და საინტერესო იქნებოდა, მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა. დინამოელებმა თითქოს თავიდანვე დათმეს პოზიციები, თამაშობდნენ მდორედ, ვერ იყენებდნენ საჯარიმო ტყორცნებს და წაგებეს ტაიმი.

მეორე ნახევარში არმიელი კალათბურთელები უფრო მონდომებით, შეწყობილად და კომბინაციურად თამაშობდნენ და ქულათა სხვაობა 24-მდე აიყვანეს.

მატჩის შედეგია 84:60 არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდის სასარგებლოდ. ამრიგად, ცსკა-ს გუნდი კვლავ სატურნირო ცხრილის სათავეში მოექცა. 20 თამაშიდან მას 18 ქულა აქვს.

ᲜᲐᲙᲠᲔᲒᲗᲐ ᲤᲠᲔ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ

გუშინ მოსკოვში გაიმართა საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ᲗᲐᲑᲣᲪᲗᲐ ნაკრებ გუნდებს შორის. მიუხედავად მძაფრი ბრძოლისა ვერც ერთმა მხარემ ვერ შეძლო ბურთის გატანა და შეხვედრა ფრედ (0:0) დამთავრდა.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲔᲚᲔᲑᲘ ᲤᲘᲜᲐᲚᲨᲘ

გუშინ საფრანგეთის კუბოლტ ვიშიში, სადაც მიმდინარეობს დასკვნითი ასპარეზობა ᲗᲐᲑᲣᲪᲗᲐ ნაკრებ გუნდებს შორის „გალეგა თასზე“, საბჭოთა ნაკრებმა დაამარცხა ბელგიის გუნდი და ფინალში გავიდა.

ᲒᲐᲛᲐᲪᲝᲑᲐ, ᲙᲔᲗᲘᲚᲨᲝᲑᲘᲚᲔᲑᲐ

☐ **ონი.** (საკ. კორ.). გარეწარმა კარლო ბებურიშვილმა ულირსი საქციელი ჩაიდინა. ჯერ ღვინით გაილეშა, მერე ავტომანქანა გაიტაცა და მდინარე ᲭᲐᲜᲭᲐᲮᲨᲘ გადააყირავა. მანქანის ძარაზე კი ბავშვები ჯოტო და ომარ ბიჭაშვილები ისხდნენ. მათ აშკარა დაღუპვა ელოდათ.

ეს ამბავი შენიშნა ონის მეორე საშუალო სკოლის მერვეკლასელმა შალვა გუტაშვილმა, რომელმაც ბავშვები აზვირთებულ ტალღებს გამოსტაცა.

☐ **ᲐᲛᲑᲠᲝᲚᲐᲣᲠᲘ.** (საკ. კორ.). რაიკოოპკავშირის თანამშრომელმა ელენე ნეფარიძემ ამ დღეებში ქალს ოქროს საათი იპოვნა. იგი დაბაში მცხოვრებ მოქალაქე თ. ვაწაძისა აღმოჩნდა. ე. ნეფარიძემ საათის პატრონს მიაგნო და ნაპოვნი ნივთი დაუბრუნა.

ᲠᲐ ᲕᲜᲐᲮᲝᲗ, ᲠᲐ ᲛᲝᲕᲘᲡᲛᲘᲜᲝᲗ

ᲠᲐᲓᲘᲝ

6 აგვისტო
პირველი პროგრამით

08.15 — მსოფლიოს ხალხთა სიმღერები, 09.20 — ლიტერატურული გადაცემა. ნარკვევი: „შირაქის ველზე მივდივარ“, 12.00 — საუბარი საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თემაზე, 12.15 — ნაწყვეტები ქართული ოპერებიდან, 13.40 — სიმღერები ესტონეთის ვაჟთა აკადემიური გუნდის შესრულებით, 17.20 — გ. ბლანტერისა და დ. პოკრასის სიმღერები, 17.40 — გადაცემა მოსწავლეთათვის. „კოსმოსის რაინდი“, 18.05 — პოპულარული მელოდიები, 18.45 — შოსტაკოვიჩი. ვოკალური ციკლი „ხეთი დღე“, 19.15 — „მეგობრობის სიმღერები“ (ტრანსლაცია მოსკოვიდან), 19.30 — კონცერტი, 19.45 — საუბარი: „ზოგი რამ მარჩიელებზე“, 20.20 — ესტონური საესტრადო მუსიკის კონცერტი, 21.05 — ლირიკული სიმღერები და ვალსები ქართული კინოფილმებიდან, 21.30 — რადიოკომპოზიცია „ჩვენ გველიან ვარსკვლავები“, 22.00 — კონცერტი უნგრელ კომპოზიტორთა ნაწარმოებებიდან.

ᲤᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

5 აგვისტო

12.00 — „ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად“, 12.15 — რეპორტაჟი „თბილისის მცირე რკინიგზაზე“ (გადაცემა ეძღვნება რკინიგზელის საკავშირო დღეს), 12.45 — მხატვრული ფილმი „ოქროს სახლი“, 18.00 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 18.35 — გადაცემა — „სადგურის მორიგე“, 18.45 — კინონარკვევი, 19.05 — გადაცემა — „გამოჩენილი ინგლისელი პოეტი Ბ. ᲨᲔᲚᲘ“, 19.25 — კინოჟურნალი, 19.35 — საერთაშორისო მიმოხილვა, 19.50 — მხატვრული ფილმი „სერიოჟა“, 21.10 — საესტრადო-სატელევიზიო ალმანახი „სალაღობი“.

6 აგვისტო

18.00 — მოკლემეტრაჟიანი ფილმი „ანათემა“, 18.50 — გადაცემა „ᲣᲠᲘᲜᲐᲠᲘ საუნჯის მზეურავები“, 19.00 — ახალგაზრდობის საღამოს ტრანსლაცია. ტრანსლაციის შემდეგ — კვირის ამბები რუსულ ენაზე და მხატვრული ფილმი „გალეგავთ დაბადების დღეს“.

5 აგვისტო



რუსთაველის სახელობის, საქართველო (წითელი და მწვანე დარბაზი), **პლეხანოვის სახელობის** (საზამთრო), **გაზაფხული** — შვიდი ძმის შვიდი საცოლე, **ამირანი** (საზამთრო) — უმზითვო, **ამირანი** (საზაფხულო), **თბილისი, ისანი** (საზაფხულო), **26 კომისრის სახელობის** (პირველი დარბაზი), **გორკის სახელობის კულტურის სახლი** (საზაფხულო) — ქარის წისქვილი, **ოქტომბერი, სპარტაკი, ᲭᲐᲕᲩᲐᲕᲐᲫᲘᲡ სახელობის კლუბი, ᲯᲐᲖᲑᲔᲒᲘ** (პირველი დარბაზი), **კროვის სახელობის პარკი** — მრიპარეკ ბომბა.